პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№122 (11428)
პარასკევი 29 მაისი 1959 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ალბანეთში (1-ლი გვერდი).
ტექნიკური პროგრესი — გამარჯვების საწინდარი. შემოქმედებითი შრომით. მეტი ქსოვილები მშრომელებს. რაციონალიზატორთა წვლილი. (1-ლი გვერდი).
ლენინის ორდენების გადაცემა (1-ლი გვერდი).
140.000 ტონა ჩაისათვის! (1-ლი გვერდი).
ე. ბორუფკა. — ვილჰელმ პაიცონი გვიზიარებს გამოცდილებას (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა. — ხ. ქოჩლაძე. — სოფლის თავკაცებს სოფლისათვის „ჯრა სცალიათ" (მე-3 გვერდი).
ლიტერატურა და ხელოვნება. — შ. მ[illegible]. — ნ. კურგაპკინას და ბ. ბრეგვაძის გასტროლები. გორის თეატრის სპექტაკლები თბილისში (მე-3 გვერდი).
ი. აბაშიძე. — მაღილი ოსტატობისათვის (მე-3 და მე-4 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
სამუდამოდ შეწყდეს „ცივი ომი" (მე-4 გვერდი).
ყოველი მხრიდან (მე-4 გვერდი).

# ტექნიკური პროგრესი — გამარჯვების საწინდარი

★ ★ ★ ★

## შემოქმედებითი შრომით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვებებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში.

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტისა და ვლადიმირის სახალხო მეურნეობის საბჭოს ინიციატივის შესახებ. სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ შეიმუშავეს ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან ნაკლები დანახარჯით და უფრო სწრაფად, ვიდრე ახალი მშენებლობის დროს, გადიდდეს პროდუქციის გამოშვება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ნაწილობრივი გაფართოების გზით. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ვლადიმირელთა ინიციატივა. ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეიძლება ჩვენს რესპუბლიკაში. საჭიროა საწარმოებში, მშენებლობებზე და საპროექტო ორგანიზაციებში შეიმუშაონ და განახორციელონ პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა შემდგომი ზრდის ღონისძიებანი საწარმოო ფართობების რეკონსტრუქციისა და გადიდების გზით.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის მშრომელებმა. ისინი გამოვიდნენ პლენუმის შეხვედრისათვის ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად.

ელექტრომავალმშენებელთა მიმართვას, რომელიც გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა, ფართოდ გამოეხმაურნენ და მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს ყველა კუთხეში. ეს შესანიშნავი ინიციატივა მოიწონა და მისი გავრცელების შესახებ დადგენილება მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

კონკრეტული ვალდებულებანი შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის იკისრეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის ბევრ სამრეწველო საწარმოში და მშენებლობაზე, შახტებში და მაღაროებში, რკინიგზის ტრანსპორტზე. ელმავალმშენებლებს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რუსთავის მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა აქტივის საქალაქო თათბირმა.

რედაქციაში ყოველდღე მოდის სასიხარულო ცნობები ივნისის პლენუმის შესახვედრად მოპოვებული ახალი შრომითი გამარჯვებების შესახებ. მათში მნიშვნელოვანი წარმატებით მუშაობს ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქრო. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმან, რომ სერიოზული ღონისძიებანი განახორციელეს კომპლექსური ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დასანერგავად, დაამონტაჟეს ფოტო-რელე, დაინერგა ბლუმინგის ცეცხლოვანი გაწმენდა. ამის შედეგად ერთიორად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება; ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა ქვანახშირის გამდიდრების პროცესების მექანიზაციის, პროგრესული მოწყობილობისა და მექანიზმების დანერგვის გზით მიაღწია შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

საწარმოთა ახალი ტექნიკით აღჭურვის, ტექნოლოგიის გაუმჯობესების საქმეში წარმატებები აქვთ კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანას, ქარხანა „ელექტროგამშვებს", „ელექტროავტომატს", ქუთაისის მანქანათსამშენებლო და ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნებს და მთელ რიგ სხვა საწარმოებს.

მაგრამ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების, კერძოდ ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, ტექნიკური პროგრესის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. მრეწველობის ცალკეული მუშაკები უძრაობას იჩენენ ახალი ტექნიკის დანერგვაში. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები საკმაოდ არ განუმარტავენ მშრომელებს საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას.

საქართველოს მარგანეცის მაღაროებსა და ქვანახშირის შახტებში წარმოების ბევრი პროცესი მექანიზებულია. აქ არის ცალკეული ავტომატიზებული კვანძები და აგრეგატები. მაგრამ მძიმე შრომატევად სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე ხელით სრულდება. ჭიათურის მარგანეცის აუზში მადნის დატვირთვა ასაწმენდ სანგრევებში მექანიზებულია მხოლოდ 38 პროცენტით. მაღაროებში სამაგრი მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის თითქმის მთელი სამუშაოები მექანიზმების დაუხმარებლად სრულდება.

მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა დაბალ დონეზეა.

პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა განაზოგადონ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელების პირველი გამოცდილება, გამოავლინონ არსებული ნაკლოვანებანი და დაუყოვნებლივ მიიღონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, აამოქმედონ ახალი რეზერვები, რათა ვადამდე შესრულდეს ნახევარი წლის გეგმა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს შევხვდეთ კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით!

## რაციონალიზატორთა წვლილი

ტყიბული. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკურ სახელოსნოში ბევრი რამ გააკეთეს საწარმოო პროცესების მექანიზაცია-ავტომატიზაციისათვის. ბოლო ხანებში ოცამდე რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება დაინერგა. წინათ გასაჩარხავი რკინის მასალა სახარატო ჩარხებთან ხელით მიჰქონდათ. ახლა ამ სამუშაოს ამწე ასრულებს. ამ ღონისძიების განხორციელება წელიწადში 50 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა.

სახელოსნოს რაციონალიზატორებმა კონსტრუქტორებთან ერთად შექმნეს ჩარხის ავტომატური გამომრთველი ხელსაწყო. ამ სიახლის დანერგვით დიდძალი ელექტროენერგია დაიზოგა.

იმ კამერაში, სადაც ახლადგადახვეულ ელექტრომოტორებს აშრობენ, საჭიროა უცვლელი ტემპერატურა. წინათ ტემპერატურის რეგულირებას თერმომეტრის საშუალებით ახდენდნენ. დაამზადეს სპეციალური ხელსაწყო. როგორც კი კამერაში ტემპერატურა აიწევს, რელე ამუშავდება და გამორთავს ელექტროღუმელს.

ახლა სახელოსნოს მექანიზატორები შახტებში ამონტაჟებენ ვაგონეტებას ამყირავებელ დანადგარებს. თვითეული ასეთი დანადგარი ცვლაში 2 მუშას გაათავისუფლებს მძიმე შრომისაგან.

## მეტი ქსოვილები მშრომელებს

საუკეთესო ხარისხის მრავალფეროვან ქსოვილებს უშვებს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი, რომელიც ერთ-ერთი მძლავრი საწარმოა რესპუბლიკაში. ამ უკანასკნელ წლებში აქ მრავალი ტექნიკური გაუმჯობესება განხორციელდა, რის შედეგად საწარმოს კოლექტივი სისტემატურად წარმატებით ასრულებს ქსოვილების გამოშვების გადიდების სახელმწიფო დავალებებს. მაგრამ კომბინატის წარმოებებსა და საამქროებში ჯერ კიდევ არის მოძველებული მოწყობილობა, დაბალი წარმადობის დანადგარები, რომელთა შეცვლა და გაუმჯობესება კოლექტივის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

სწორედ ამიტომ არის, რომ კომბინატის მშრომელები ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მოწვევას, რომელიც შეიმუშავებს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს მრეწველობის შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის. კომბინატის წარმოებებში, საამქროებში, განყოფილებებში ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მუშებმა მხურვალედ მოიწონეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს. მუშები გაცხოველებით მსჯელობენ იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ავტომატიზაციასა და მექანიზაციასთან, წარმოების კულტურის შემდგომ ამაღლებასთან.

წელს კომბინატის სართავ წარმოებაში დაიდგმება შენაზავების ახალი მანქანა, რომელიც შრომის ნაყოფიერებას 45-50 პროცენტით გაზრდის. ამასთან მნიშვნელოვნად ამაღლდება შენაზავის ხარისხი, გაუმჯობესდება წარმოების კულტურა. პირველადი დამუშავების საამქროში დაიდგმება ავზებში ხსნარის მისაწოდებელი ავტომატები, რითაც სერიოზულად გაუმჯობესდება მატყლის რეცხვის ხარისხი, შემცირდება საპნისა და სოდის ხარჯვა. ტექნიკური გაუმჯობესებანი დაინერგება აგრეთვე საგამომყვანო წარმოებაში, საქსოვი საამქროს საქსელავ განყოფილებაში და სხვ.

## მარგანეცის გამდიდრების მექანიზაცია-ავტომატიზაცია

ჭიათურის პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი ტექნიკურ პროგრესს ახორციელებს, სრულყოფს მადნის გამდიდრების ტექნოლოგიას. ფაბრიკაში შრომა შემსუბუქდა, მუშახელი 25 პროცენტით შემცირდა, ხოლო პროდუქციის სადღეღამისო გამოშვება სამჯერ გაიზარდა.

ფაბრიკის კოლექტივი მხურვალე მოწონებით შეხვდა თბილისელ ელექტრომავალმშენებელთა ინიციატივას, რომ ახალი გამარჯვებებით შეხვდეს მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს. ფაბრიკის კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა ნახევარი წლის დავალება 20 ივნისისათვის შეასრულოს.

პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკა ყველაზე მექანიზებული და ავტომატიზებულია ჭიათურაში. მადანს ფაბრიკა საჰაერო-საბაგირო გზით იღებს. ავტომატიზებულია მადნის მიწოდება ლენტური ტრანსპორტიორებითა და მკვებავებით. სამტვრეველებსა და გამაუწყლოებელ ცხრილებზე განხორციელებულია ავტომატური ზეთვა, ფაბრიკაში შემოღებულია მექანიზმების ბლოკირებით მართვა და სხვ. ამიტომ არის, რომ ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება 119 პროცენტით შეასრულა, პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადებისა — 115 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება 20 პროცენტით გაზარდა.

ფაბრიკის კოლექტივს წარმოების ავტომატიზაცია-მექანიზაციის დარგში საუცხოო პერსპექტივები ესახება. ფაბრიკის დირექტორმა, გამოცდილმა ინჟინერ-გამამდიდრებელმა არ. ნიკოლაძემ განაცხადა:

— მალე ჩვენი ფაბრიკა მთლიანად მექანიზებულ-ავტომატიზებული იქნება. ამ პრობლემაზე ფაბრიკის კოლექტივთან თანამშრომლობით მუშაობს რუსთავის ავტომატიკის ინსტიტუტის სამთო განყოფილება შ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. („კომუნისტის" საკ. კორ.).



ტირანა. სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ვიზიტი გაუკეთა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმს და მინისტრთა საბჭოს.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ა. მუხიტდინოვი, მეჰმეტ შეჰუ, ნ. ს. ხრუშჩოვი, ენვერ ხოჯა.

ფოტო ვ. ეგოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ლენინის ორდენების გადაცემა

ნიკოლაევის ოლქს გადაეცა ლენინის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებულია იგი მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის, 1958 წელს სახელმწიფოსათვის 47,3 მილიონი ფუთი პურის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

უკრაინის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ბ. არისტოვმა მთავრობის უმაღლესი ჯილდო გადასცა ოლქის წარმომადგენლებს.

სიმფეროპოლი, 27 მაისი. (საკდესი). აქ გაიმართა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს და უკრაინის კომპარტიის საოლქო კომიტეტის საზეიმო სხდომა იმასთან დაკავშირებით, რომ ოლქს გადაეცა ლენინის ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოებულია წარმატებებისათვის მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში, აგრეთვე იმისათვის, რომ 1958 წელს წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის 21,7 მილიონი ფუთი პურის მიყიდვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ფ. რ. კოზლოვმა მთავრობის მაღალი ჯილდო გადასცა ოლქის წარმომადგენლებს.

## სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ალბანეთში

ტირანა, 27 მაისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და დელეგაციის წევრები რ. ი. მალინოვსკი, ვ. ი. ივანოვი და ფ. დ. დუმბაძე ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ენვერ ხოჯას, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მეჰმეტ შეჰუს, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების ბექირ ბალუქუს, ლირი ბელიშოვას და სხვა პირთა თანხლებით გაემგზავრნენ ქალაქ შკოდერში — ჩრდილოეთ ალბანეთში. სოფელ ფუშეკრუიაში, სადაც XV საუკუნეში ცხოვრობდა და იბრძოდა დიდი ალბანელი მხედართმთავარი და ლეგენდარული გმირი სკანდერბეგი, 7 ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები გაჩერდნენ ქალაქ ლეჟაში, სადაც მათ განსაკუთრებით გულთბილი მიღება მოუწყეს. ათასობით ადამიანი, რომლებიც მეტად შორი სოფლებიდან ჩამოვიდნენ, სადღესასწაულო ტანსაცმლით მორთულნი გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში.

ალბანეთის შრომის პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რებანი შეჰუ მხურვალედ მიესალმა საბჭოთა დელეგაციის წევრებს. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელმაც საპასუხო სიტყვა წარმოთქვა, განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხისა და ალბანელი ხალხის მეგობრობა კარგი მეგობრობაა. ნ. ს. ხრუშჩოვმა რწმენა გამოთქვა, რომ ეს მეგობრობა კვლავაც განმტკიცდება.

ქალაქ შკოდერთან საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ქალაქის ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სამ კილომეტრ მანძილზე ათეულ ათასობით ადამიანი ჩამწკრივებულიყო ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს. შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს. დიდხანს გაისმოდა შეძახილები ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ალბანეთის შრომის პარტიის, საბჭოთა ხალხის პატივსაცემად.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს მეჰმეტ შეჰუმ და ნ. ს. ხრუშჩოვმა.

დღეს კარლ მარქსის სახელობის ჰიდროელექტროსადგურში, რომელიც მატის რაიონშია, ჩავიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ნაწილი, რომელსაც მეთაურობს საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ა. ბულგაკოვი.

კარლ მარქსის სახელობის ელექტროსადგური ალბანეთში ყველაზე დიდი ენერგეტიკული ნაგებობაა, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა.

სტუმრებმა და მათმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ელექტროსადგურის მანქანების დარბაზი და სამართავი პულტი.

შემდეგ გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ ჰიდროელექტროსადგურის მუშები, აგრეთვე მატისა და მირდიტის რაიონების სოფლების გლეხები.

ტირანა, 27 მაისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. მუხიტდინოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. პ. ფირიუბინმა, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ა. ვეზიროვმა დაიწყეს მოგზაურობა ალბანეთში.

ელბასანში მიმავალ ძვირფას სტუმრებს გულთბილად მიესალმებოდნენ ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი.

ტირანისა და ელბასანის რაიონების საზღვარზე მათ პურმარილი მიართვეს. „დიდი მადლობა, რომ პურმარილით გვხვდებით, — ამბობს ნ. ა. მუხიტდინოვი. — ეს ძმური პურია. საბჭოთა კავშირშიც გვაქვს ასეთი ჩვეულება. ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ თქვენი ცხოვრება ისეთივე კარგი იყოს, როგორიც ეს პურია. გადაეცით რაიონის ყველა მცხოვრებს ჩვენი დელეგაციის მეთაურის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისაგან და ჩვენგან უმხურვალესი სალამი და საუკეთესო სურვილები". შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები წავიდნენ ქალაქ ელბასანში.

ძველი ქალაქის ელბასანის მცხოვრებნი დროშებით, ალმებით, ყვავილებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის წარგზავნილთა შესახვედრად. რაიონული ალმასკომის შენობასთან გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 20 ათასზე მეტი კაცი. მიტინგის მონაწილენი უდიდესი ენთუზიაზმით მიესალმნენ დელეგაციის წევრებს. გაისმის შეძახილები: „საბჭოთა კავშირი!", „ენვერი—ხრუშჩოვი!", „გაუმარჯოს ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!".

მიტინგი გახსნა ალბანეთის შრომის პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა თომა დალიანმა. მიტინგზე გამოვიდნენ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სპირო კოლეკა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. მუხიტდინოვი.

ტირანა, 28 მაისი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები დღეს თვითმფრინავით ჩავიდნენ ქალაქ კორჩაში. მათ ახლავან ენვერ ხოჯა, მეჰმეტ შეჰუ, ჰიუსნი კაპო, ლირი ბელიშოვა და სხვა ალბანელი ხელმძღვანელები. ნ. ს. ხრუშჩოვსა და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებს მხურვალედ მიესალმა ათეულ ათასობით ადამიანი.

კორჩაში საბჭოთა სტუმრების ჩასვლის გამო ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ჰიუსნი კაპომ და ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ტირანა, 28 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი ნ. ა. მუხიტდინოვის მეთაურობით დღეს ეწვია ალბანეთის ნავთობის მრეწველობის ერთ-ერთ ცენტრ ქალაქ სტალინს.

ნავთობის მრეწველობის მუშებმა გულთბილად მიიღეს საბჭოთა სტუმრები, მიტინგზე გამოვიდა ნავთობის კომბინატის დირექტორი რამიზ ჯაბია. მან გამოთქვა დიდი სიხარული, რასაც ალბანელი მენავთობენი განიცდიან საბჭოთა სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით.

საბჭოთა დელეგაციის სახელით ნ. ა. მუხიტდინოვი მიესალმა ნავთობის მრეწველობის მუშებს.

## 140.000 ტონა ჩაისათვის ბრძოლა მთელი საქართველოს მშრომელთა სახელისა და ღირსების საქმეა

ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანმა მეჩაიეებმა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მტკიცე პირობა მისცეს შვიდწლედის პირველ წელს — 1959 წელს მოკრიფონ და სამშობლოს უძღვნან 140.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო 1965 წელს 200.000 ტონა და ამით გადაწყვიტონ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების სამამულო წარმოების ჩაით დაკმაყოფილების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა.

მოგვიანებული ზაფხულისა და უამინდობის მიუხედავად, მეჩაიეობის რაიონებში მაისის პირველი რიცხვებიდანვე დაიწყო დიადი ლაშქრობა მიმდინარე წელს 140.000 ტონა ჩაისათვის.

მაგრამ ფოთოლი ისე სწრაფად შემოდის, რომ ვერ სწვდება მუშახელი, რითაც იქმნება ფოთლის გაუხეშების საშიშროება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთელმა რიგმა რაიონებმა იკისრეს დახმარება გაუწიონ მეჩაიეობის რაიონებს ჩაის კრეფაში. ახალციხის რაიონიდან დაიძრნენ ჩაისათვის პირველი მოლაშქრენი. ისინი ჩავიდნენ მახარაძის რაიონში და შეუდგნენ მუშაობას ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში. ამ დღეებში მეჩაიეობის რაიონებში დასახმარებლად მიემგზავრებიან მცხეთის, კასპის, ხაშურის და სხვა რაიონების სოფლის მშრომელები. ეს დიდი პატრიოტული თაოსნობაა.

140.000 ტონა ჩაისათვის ბრძოლა — ეს მთელი საქართველოს მშრომელთა სახელისა და ღირსების საქმეა.

ყოველმხრივ ქებისა და წახალისების ღირსია ის რაიონი, სოფელი და კოლექტივი, რომელიც ჩაისათვის ბრძოლის ამ გადამწყვეტ მომენტში მეგობრულ დახმარებას გაუწევს მეჩაიეობის რაიონების მშრომელებს უხვად შემოსული ფოთლის კრეფაში.

## 140.000 ტონა ჩაისათვის!



### აწყურელები ეხმარებიან ლაითურელ მეჩაიეებს

— ჩვენი მეურნეობის კოლექტივი მაის-ივნისის გეგმების მიხედვით 1.450 ტონა ფოთოლს დაამზადებს, — ამბობს ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, აგრონომი ვახტანგ ჟეიშვილი — ამ კეთილშობილურ საქმეში დიდად გვეხმარებიან მეზობელი რაიონების მშრომელები. ჯერჯერობით მეურნეობის პირველი სასურველი სტუმრები ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები არიან, რომლებიც ამ დღეებში ჩამოვიდნენ და ენერგიულად გვეხმარებიან ჩაის კრეფაში.

მიუხედავად იმისა, რომ აწყურელ კოლმეურნეებს ჩაის ფოთლის კრეფაზე წარმოდგენაც არა ჰქონდათ, სპეციალისტების დახმარებით ადრე დაეუფლნენ ფოთლის კრეფის წესებს.

აღსანიშნავია, რომ აწყურელთა შემადგენლობაში 30 ახალგაზრდა კოლმეურნეა, რომლებმაც ახლახან დაამთავრეს საშუალო სასწავლებელი.

აწყურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვახტანგ გაჩეჩილაძემ განაცხადა:

— ჩვენი მშობლიური სოფლიდან რომ მოვდიოდით, გადაწყვეტილი გვქონდა 17 ტონა ჩაის ფოთოლი მოგვეკრიფა, მაგრამ როცა აქ ჩამოვედით და გავეცანით ლაითურელ მეჩაიეთა ავ-კარგს, გადავწყვიტეთ სულ ცოტა 25 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოვკრიფოთ. აწყურელები პირობას უსათუოდ გავანაღდებთ და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ აბაშის, სამტრედიის, ახალქალაქისა და სხვა რაიონების იმ მშრომელებს, რომლებიც ამ დღეებში ჩამოვლენ აქ, ლაითურში, ჩაის ფოთლის კრეფაში დასახმარებლად.

ლაითურელები ყოველდღიურად აძლიერებენ ფოთლის კრეფის ტემპს, დღეში 18-20 ტონა ნედლეულს აბარებენ წარმოებას.

ზ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



სურათზე: ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ჟეიშვილი (მარცხნიდან პირველი) ამოწმებს აწყურელ კოლმეურნეთა მიერ მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს.

ფოტო ა. აბულაძისა.

### შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა

★

#### გეგეჭკორი

გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა პირობა დადეს მაისში მოკრიფონ 1.860 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად ვადაზე ადრე 28 მაისისათვის მოკრიფეს და გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩააბარეს 1.970 ტონა ჩაის ნედლეული. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 500 ტონით მეტი ჩაის ნედლეული. ახლა ივნისის გეგმის ანგარიშში ყოველდღიურად კრეფენ 150-200 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს.

გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა პირობა დადეს მაისის ბოლომდე ივნისის გეგმის ანგარიშში მოკრიფონ 400 ტონა ჩაის ფოთოლი.

#### გალი

გალის რაიონის მეჩაიეებმა, რომლებიც ფართოდ გამოეხმაურნენ მახარაძელთა მიმართვას, 28 მაისის საღამოს 6 საათისათვის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მოკრიფეს 3.290 ტონა ჩაი ნაცვლად 3.270 ტონისა. შარშანდელთან შედარებით მოკრეფილია 690 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი.

გალელმა მშრომელებმა, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ქობულეთელ მეჩაიეებთან, იკისრეს მაისში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 700 ტონა ჩაი.

#### ხობი

ხობის რაიონის მეჩაიეებმა სიტყვა საქმედ აქციეს. 28 მაისისათვის მოკრიფეს 612,3 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად მაისის გეგმით გათვალისწინებული 611 ტონისა.

ამჟამად მეჩაიეები ბეჯითად მუშაობენ ჩაის პლანტაციებში და ყოველდღიურად ივნისის გეგმის ანგარიშში კრეფენ 55-60 ტონა ხარისხოვან ჩაის მწვანე ფოთოლს.

## აბრეშუმის პარკის პირველი მოსავალი

წულუკიძე. (ტელეფონით). ქალაქ წულუკიძის მესამე უბნის მეაბრეშუმემ ანიჩკა ჭავჭანიძემ გუშინ, 26 მაისს რაიონში პირველმა ჩააბარა ქალაქის მიმღებ პუნქტს აბრეშუმის პარკი. მან 23 დღეში დაამთავრა აბრეშუმის ჭიის გამოკვება და 8 გრამი მუიდან 33,4 კილოგრამი პარკი მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21 კილოგრამისა. გეგმა 159 პროცენტით შეასრულა.

ვ. [illegible]ბუჩაძე.

• • •

წყალტუბო. (ტელეფონით). სოფელ ფარცხანაყანევის კოლმეურნეობის წარჩინებულმა მეაბრეშუმემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარგარიტა კიკვაძემ გუშინ ქუთაისის საგრენაჟო ქარხანას ჩააბარა აბრეშუმის პარკის ახალი მოსავალი. 7 გრამი მუიდან მან გეგმით გათვალისწინებული 29 კილოგრამის ნაცვლად 52,6 კგ აბრეშუმის პარკი მიიღო და საგეგმო დავალება 184 პროცენტით შეასრულა.

აბრეშუმის პარკის გამოსავლიანობის გეგმები 172-173 პროცენტით შეასრულეს ამავე კოლმეურნეობის წევრებმა თამარ მესხიშვილმა და მარგალიტა შამაგეიშვილმა.

დ. ბაბრიაძე,
გაზეთ „ახალი წყალტუბოს" რედაქტორი.

# ვილჰელმ პაიცონი გვიზიარებს შთაბეჭდილებებს

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებისათვის ცნობილია, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჰალეს ოლქის მერზებურგის რაიონის სოფელ შაფშტედტის ფრიდრიხ ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი ერთ-ერთი მოწინავე მეურნეობაა. ამის შესახებ მოთხრობილი იყო ამ კოოპერატივის თავმჯდომარის ვილჰელმ პაიცონისა და მისი ამხანაგების ვრცელ წერილში, რომელიც შემოკლებით „კომუნისტმა“ გადმობეჭდა გაზეთ „პრავდიდან“ მიმდინარე წლის 21 მარტის ნომერში.

ამას წინათ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი ტელეფონით დაუკავშირდა ჰალეს საოლქო გაზეთ „ფრაიჰაიტის“ („თავისუფლების“) რედაქციას, რომელსაც სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის ეამბნა აღნიშნული კოოპერატივის მომავლის გეგმებისა და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

„კომუნისტის“ რედაქციამ ამ დღეებში ქალაქ ჰალედან მიიღო წერილი და მასალები ფრიდრიხ ენგელსის სახელობის საწარმოო კოოპერატივის შესახებ, რომლებიც მოამზადა გაზეთ „ფრაიჰაიტის“ რედაქციის თანამშრომელმა ევალდ ბორუფკამ.

ევალდ ბორუფკამ აგრეთვე გვაცნობა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის საზოგადოებისა და უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საბჭოთა საზოგადოებათა სოფლის მეურნეობის სექციის მიწვევით ფ. ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარე ვილჰელმ პაიცონი სსრ კავშირში მოემგზავრება.

ჩვენმა მოსკოველმა კორესპონდენტმა გუშინ გვაცნობა, რომ ვილჰელმ პაიცონი სსრ კავშირში 12 დღის მოგზაურობის შემდეგ ორიოდე დღის წინათ დაბრუნდა მოსკოვში, სადაც 25 მაისს მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე გამოვიდა ლექციით თემაზე: „სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და პერსპექტიული დაგეგმვა სოფელ შაფშტედტის ფ. ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივში“. ლექციის შემდეგ მან დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის შესახებ. შეხვედრის დასასრულს გაიმართა გულითადი მეგობრული საუბარი მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და საპატიო სტუმარ ვილჰელმ პაიცონის შორის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ევალდ ბორუფკას მიერ ჰალედან გამოგზავნილ მასალებს.

## ფრიდრიხ ენგელსის სახელობის კოოპერატივის სურვილია მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს საქართველოს კოლმეურნეობებთან

**თბილისი, საქართველოს სსრ გაზეთ „კომუნისტს“**



ვილჰელმ პაიცონი

• • •

**ძვირფასო ამხანაგებო!**

მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან დაკავშირებისათვის. მზად ვართ სიამოვნებით შევასრულოთ თქვენი თხოვნა — მოგაწოდოთ მასალები შაფშტედტის ფრიდრიხ ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის შესახებ.

ამასთან ერთად გიგზავნით რამდენიმე ფოტოსურათს და მასალას სტატიისათვის. იმედია გამოიყენებთ.

ჩვენ გადავეცით ამხანაგ ვილჰელმ პაიცონს თქვენი თხოვნა. მან სიამოვნებით მიიღო ის და სიხარულით განაცხადა, რომ სასურველია გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით მათს კოოპერატივსა და საქართველოს კოლმეურნეობებს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს.

### 1.

**მერზებურგის** რაიონის ს. შაფშტედტის ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი ჩვენს ოლქში მძლავრ კოოპერატივად ითვლება. მან შარშან 22.425 ცენტნერი მარტო მარცვლეული კულტურების მოსავალი მიიღო. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 35 ცენტნერი შეადგინა.

ამ საწარმოო კოოპერატივში სხვა კულტურებიც კარგ მოსავალს იძლევა. მაგალითად, 1958 წელს ზეთოვანი კულტურების საერთო მოსავალმა 591 ცენტნერი შეადგინა, ანუ ჰექტარზე 13 ცენტნერი. კარტოფილის მოსავალმა 22.575 ცენტნერს მიაღწია, ხოლო ჭარხალმა ჰექტარზე 340 ცენტნერს.

ენგელსის სახელობის საწარმოო კოოპერატივში თვალსაჩინო ხვედრითი წონა აქვს საზოგადოებრივ მეცხოველეობას. მაგრამ ამ დარგის შემდგომი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა, ამ საქმეში შაფშტედტელებს სსრ კავშირის მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება რომ არ დახმარებოდა. როდესაც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ინახულა ენგელსის სახელობის საწარმოო კოოპერატივი და გაეცნო მის მეურნეობას, კოოპერატივის წევრებს მისცა ძვირფასი რჩევა სიმინდის კულტურის ათვისებასა და მის განვითარებაზე. ნ. ს. ხრუშჩოვის რჩევა-დარიგება შაფშტედტელებმა კარგად გამოიყენეს. შარშან მათ სასილოსედ ეთესათ 200 ჰექტარი სიმინდი. კარგი მოვლა-დამუშავების შედეგად ჰექტარზე მიიღეს 700 ცენტნერი მწვანე მასა, რომლიდანაც 32 ცენტნერს შეადგენდა ჭყინტლი და ბაზი ტარო. „ოდესური-10“ ჯიშის სიმინდმა ჰექტარზე მისცათ 1.180 ცენტნერი მწვანე მასა, აქედან 366 ცენტნერი, ანუ 31 პროცენტი ტარო.

სიმინდის დანერგვის მეოხებით კოოპერატივმა მთელი თავისი პირუტყვი მთლიანად უზრუნველყო საუკეთესო საკვებით. ამან კი საშუალება მისცა კოოპერატივს სანიმუშოდ გამოეზამთრებინა პირუტყვი და თვალსაჩინოდ გაედიდებინა მისი პროდუქტიულობა.

შაფშტედტელები ახლა მიღწეულს აღარ სჯერდებიან. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა წელს საშუალოდ ჰექტარზე 800 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა მიიღონ. ამ დღეებში ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის თავმჯდომარე ვილჰელმ პაიცონი ესტუმრა სსრ კავშირს, იყო ნ. ს. ხრუშჩოვის სამშობლო სოფელ კალინოვკაში. მან იქ ბევრი რამ ნახა მეტად საინტერესო, რასაც დაბრუნების შემდეგ გამოიყენებს თავისი სოფლის საწარმოო კოოპერატივის მეურნეობაში.

მთელ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განთქმული ამ საწარმოო კოოპერატივის ხშირი სტუმრები არიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ჰალეს საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ფრანც ბროუკი და ბერნბურგის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი დოქტორი ჰერბერტ მიულერი, რომლებიც ინტერესით ადევნებენ თვალყურს მეურნეობის წინსვლას და საჭირო რჩევას აძლევენ კოოპერატივის ხელმძღვანელებს ცალკეული საკითხების უკეთ გადაწყვეტაში.

### 2.

**შაფშტედტის** სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი კადრების სამჭედლოც არის. მაგალითად რამდენიმე ხნის წინათ ამ კოოპერატივში თავმჯდომარის ვილჰელმ პაიცონის მოადგილედ მუშაობდა ამხ. მაქს ბრომელი. იგი ისე გამოიწრთო მუშაობაში, რომ მალე დააწინაურეს მეზობელი პოაისლებენის რაიონის სოფელ პოლებენის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის თავმჯდომარედ. ეს კოოპერატივი მეტად ჩამორჩენილი იყო და სუსტად განვითარებული მეურნეობა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც სათავეში ბრომელი ჩაუდგა, კოოპერატივი წელში გაიმართა, მოღონიერდა და ახლა რაიონში მოწინავე გახდა. ავიღოთ თუნდაც ამხ. გრებერი. იგი წინათ შაფშტედტის საწარმოო კოოპერატივის პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობდა. შემდეგ გადაყვანილ იქნა მილცაუს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის თავმჯდომარედ. გრებერმა ისე მოაწყო მუშაობა, რომ ბევრ რამეში უკვე უტოლდება თავისი მშობლიური შაფშტედტის კოოპერატივს. კადრების ასე გამოზრდით მერზებურგის რაიონმა მიაღწია წინათ სუსტი საწარმოო კოოპერატივების მოკლე დროში მოღონიერებას და აღმავლობის გზით განვითარებას. შაფშტედტის საწარმოო კოოპერატივიდან მოკლე ხანში ხუთი ამხანაგი გადაიყვანეს სხვა სოფლების საწარმოო კოოპერატივების თავმჯდომარეებად.

სხვათა შორის, ყოფილმა შაფშტედტელებმა, ახლა სხვა საწარმოო კოოპერატივების თავმჯდომარეებმა ბრომელმა და გრებერმა სურვილი გამოთქვეს საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებთან, კერძოდ საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობებთან დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა გამოცდილების გაზიარებისა და საქმიანი რჩევის მიღების მიზნით. თუ საქართველოს რომელიმე კოლმეურნეობა მიიღებს ამხ. ბრომელისა და გრებერის წინადადებას, ჩვენი გაზეთის რედაქცია მზად არის იკისროს ამ საქმის ორგანიზაცია და წერილების ურთიერთ გაცვლის შემდეგ ორივე ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკთა საწარმოო თანამეგობრობის დამყარება.

### 3.

**თქვენთვის** ალბათ საინტერესოა ისიც, რომ შაფშტედტის საწარმოო კოოპერატივი თავის მეურნეობაში სიმინდის კულტურის დანერგვას შეუდგა მხოლოდ ოთხი წლის წინათ. ამ საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ჩვენს დიდ მეგობარს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელმაც გამოგზავნა დახმარებისათვის ამხ. შევჩენკო. მან კოოპერატივის წევრებს გააცნო სიმინდის კულტურის მოყვანის აგროტექნიკა და მისცა მათ ძვირფასი რჩევა-დარიგება.

წელს ჰალეს ოლქში 30.000 ჰექტარი სასილოსე სიმინდი ითესება. ეს კი ოლქის საწარმოო კოოპერატივების საერთო ნათესი ფართობის 8 პროცენტს შეადგენს. ჩვენს ოლქში ამჟამად მთელი ნათესი ფართობის 50 პროცენტზე მეტს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები ამუშავებენ. ხოლო აქედან 10 პროცენტს ე. წ. სახალხო მამულთა მეურნეობები. სახნავ-სათესი ფართობის დაახლოებით 30 პროცენტი უჭირავს ერთპიროვნულ სექტორს, ხოლო 10 პროცენტი წარმოებაში დასაქმებულ მუშებს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შაფშტედტელებს ხშირად ესტუმრებიან ხელმძღვანელი და მეცნიერი მუშაკები. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ სახელგანთქმული ბოტანიკოსი, ბერნბურგის ბოტანიკური ინსტიტუტის პროფესორი დოქტორი ობერდორფი. მან გამოიყვანა მრავალი ახალი ჯიშის ხორბალი და საქონლის საკვები მცენარეები. განსაკუთრებით ცნობილია, მაგალითად, მის მიერ გამოყვანილი საზეთე-საბოჭკოე სელი და რამდენიმე სახეობის მეტად გამძლე ხორბლის ჯიში. მანვე გამოიყვანა სიმინდის ისეთი ჯიში, რომელიც ძალიან მოკლე სავეგეტაციო პერიოდით ხასიათდება. მის მიერ გამოყვანილი სიმინდის ჯიშები, როგორიც არის „შინდილის სიმინდი“, „ბერნბურგის საფურაჟე სიმინდი“, 20-30 დღის სავეგეტაციო პერიოდში ჭყინტლი და ბაზი ხდება და უფრო ადრე შემოდის, ვიდრე მაგალითად საბჭოთა ჯიში „ვირ-25“.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს ორჯერ ინახულა პროფესორი ობერდორფი და უდიდესი ინტერესი გამოიჩინა მისი მეცნიერული კვლევაძიებისადმი. ღვაწლმოსილი პროფესორი ობერდორფი ჩვენს გაზეთთან ერთად გახდა სიმინდის კულტურის დანერგვის ათვის ნორჩ პიონერთა თვალსაჩინო პატრიოტული მოძრაობის ინიციატორი. ყველა საწარმოო კოოპერატივში გამოყოფილი იქნა პიონერული ფართობები, სადაც შარშან პიონერებმა 15.000 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს. მერზებურგის რაიონის პიონერებმა გადაწყვიტეს წელს შარშანდელთან შედარებით სიმინდის ერთიორად მეტი მოსავალი მოიყვანონ.

სხვათა შორის შაფშტედტში სტუმრად მარტო ჩვენი რესპუბლიკიდან როდი ჩამოდიან. შარშან ამ სოფლის საწარმოო კოოპერატივს იტალიის პროფკავშირული დელეგაცია ესტუმრა. იტალიელი სტუმრები, რომელთა შორის მრავლად იყვნენ სოფლის მეურნეობის მუშაკები, გაკვირვებული დარჩნენ უხვი მოსავლითა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის მაღალი დონით. არანაკლებ გაოცა ისინი საზოგადოებრივი დანიშნულების სანიმუშო დაწესებულებებმა, რომლებიც მოწყობილია შაფშტედტის საწარმოო კოოპერატივის მიერ.

შარშან დაიწყეს და წელსაც ინტენსიურად გრძელდება ამ მეურნეობაში სარეველა ბალახების წინააღმდეგ ქიმიური საშუალებებით ბრძოლის ცდები. ამ მხრივ სერიოზული ყურადღება ექცევა იმ ღონისძიებათა დადგენას, რაც განკუთვნილია მეზობელი რაიონების საწარმოო კოოპერატივებისათვის. თვით შაფშტედტის კოოპერატივის ფართობებში არც თუ ისე საჭიროა ქიმიური საშუალებებით სარეველების მოსპობა, რადგან მექანიზაციის მაღალი დონე უზრუნველყოფს სარეველების მოსპობას. მექანიზაციას ხელს უწყობს სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად თესვა. აქ ჰექტარზე დაახლოებით 80.000 ძირი სიმინდი მოდის. საამისოდ საჭიროა ჰექტარზე 35 კილოგრამი სიმინდის დათესვა.



სურათზე ხედავთ, თუ როგორ გამოიყურება სიმინდის ნათესები ქიმიური პრეპარატით სარეველა ბალახების მოსპობის შემდეგ (მარჯვნივ). იქვე გვერდით კი (მარცხნივ) მოჩანს ამ ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზეც არ გამოუყენებიათ ახალი პრეპარატი სარეველა ბალახების მოსასპობად.

* * *

სიმინდის ნათესების სარეველა ბალახებისაგან ქიმიური გაწმენდა წარმოებს იმავე წესით, როგორც ხორბლეულის ნათესებისა. ამ მიზნით ხმარებაშია უმთავრესად ე. წ. ჰერბოციდები (ბალახის მომსპობი საწამლავი), რომელიც მხოლოდ სარეველა ბალახებისათვის არის განკუთვნილი. ამ წესით შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავება არ შეიძლება, რადგან იგი თვით ჭარხალსაც სპობს.

### 4.

**შაფშტედტის** სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი პირველი მეურნეობაა, რომელსაც საკუთარ სარგებლობაში გადაეცა მანქანატრაქტორთა სადგურის მანქანები. მტს-ის 23 ტრაქტორისტი, რომლებიც წინათ შაფშტედტის საწარმოო კოოპერატივის მინდვრებს ამუშავებდნენ, ახლა ამ კოოპერატიული ამხანაგობის წევრია. ამ მოწინავე მეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანთა ფიზიკური შრომის შემსუბუქებას. დღითიდღე ძლიერდება სხვადასხვა სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. წინათ მეცხოველეობაში ერთ-ერთი ძნელი, შრომატევადი სამუშაო იყო ძროხების ხელით წველა. ახლა კი წველა მანქანებით ხდება. ამ დარგში არის ახალი მიღწევებიც. გამოგონილია უახლესი ტიპის მანქანები, რომლებიც უფრო პროდუქტიულია, ვიდრე წინათ არსებული საწველავი მანქანები. ხელით წველასთან შედარებით ეს მანქანები შრომის ნაყოფიერებას ოცჯერ ზრდიან. ის ძროხები, რომლებიც ამ მოკლე ხნის წინათ გადაყვანილ იქნენ უახლესი საწველავი მანქანებით წველაზე, იმდენად მიეჩვივნენ ამ მეთოდით წველას, რომ თვითონ მიდიან განსაზღვრულ დროს საწველ ფარდულებთან და მიაშურებენ ხოლმე საამისოდ განკუთვნილ განყოფილებებს.

შაფშტედტის საწარმოო კოოპერატივის მეურნეობაში თვალსაჩინო ხვედრითი წონა აქვს მეფრინველეობას. ამ დარგის განვითარებით გაზრდილია კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოება.

ჩვენთან ცნობილია მეურნეობის ამ დარგის ორი სახეობა. აქედან ჩვენ ავირჩიეთ პირველი, ე. წ. გალიური წესი. მართალია, ის, ცოტა არ იყოს, ძვირი ჯდება, მაგრამ პროდუქტიულობის გადიდების თვალსაზრისით უფრო სარფიანია. ამ საქმეში კოოპერატივს დიდ დახმარებას უწევს მერზიტცის (ჰალეს მახლობლად) წვრილფეხა მეცხოველეობის ინსტიტუტი, კერძოდ მისი დირექტორი დოქტორი იოჰანეს იეგერი. სწორედ მისი ინიციატივა იყო, რომ ჰალეს ოლქში და მთელ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა მეფრინველეობის სპეციალიზებული მეურნეობები ე. ი. ფრინველის გამოკვებას მან მეცნიერული საფუძველი დაუდო. საკვები მდიდარი უნდა იყოს ვიტამინებით და მინერალური ნივთიერებებით, რათა ქათმებს, რომლებიც გალიაში არიან დამწყვდეულნი, არა მარტო კარგი კვერცხმდებლობა ახასიათებდეთ, არამედ იყვნენ სრულიად ჯანსაღნი და სახორცედ ვარგისნი.

ამხ. იეგერი ამასთან თვითონ წარჩინებული მეფრინველეა. მის ინსტიტუტში გამოყვანილ იქნა რამდენიმე ჯიშის ქათამი, რომლებიც გამოირჩევიან როგორც კარგი კვერცხმდებლობით, ისე სახორცედ დიდი წონითაც. ამჟამად დოქტორი იეგერი განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობს სხვადასხვა ჯიშის ქათმების შეჯვარების საკითხებზე. ჩვენ შეგვიძლია, თუ ეს ქართველ კოლმეურნეთა სურვილიც იქნება, დოქტორ იეგერს თქვენთვის გამოსაგზავნად ვთხოვოთ მასალა მეფრინველეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

### 5.

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლებში ამჟამად განიხილავენ სოფლის მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმებს. შაფშტედტის ფრიდრიხ ენგელსის სახელობის საწარმოო კოოპერატივშიც მოეწყო შვიდწლიანი გეგმის განხილვა. ამ გეგმაში ახსნილია, თუ უახლოესი შვიდი წლის განმავლობაში როგორ უნდა იქნას მიღწეული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდება და სოფლის გამშვენება-გალამაზება. გეგმა ითვალისწინებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის მიერ დასმული მთავარი ეკონომიური ამოცანის წარმატებით განხორციელებას, კერძოდ იმას, რომ მოკლე დროში გავუსწროთ დასავლეთ გერმანიას ერთ სულ მოსახლეზე კვების პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების დარგში.

მომავალ შვიდწლედში ჰალეს ოლქის სოფლებში ბევრი რამ შეიცვლება არა მარტო პროდუქტების წარმოების გადიდებისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დარგში, არამედ კულტურულ ცხოვრებაშიც. დაძლეულ იქნება არსებული ჩამორჩენა სოფელსა და ქალაქს შორის. მოსახლეობის ყველა ფენის აქტიური მონაწილეობა შვიდწლიანი გეგმის შემუშავებაში მისი წარმატებით განხორციელების საწინდარს წარმოადგენს.

ახლა ჩვენი სამშობლოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა კუთხის კოოპერატივებში გაერთიანებული გლეხობა მთელ თავის ძალღონეს ახმარს იმას, რომ შვიდწლედის პირველ წელს მოიყვანოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი, მკვეთრად გაადიდოს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ამ მიზნით აამოძრაოს მთელი შესაძლებლობანი და ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები.

ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის გლეხკაცობა ზრუნავს გაადიდოს პროდუქტების წარმოება, რადგან მან კარგად იცის, რომ ამით უფრო მეტად განამტკიცებს მშობლიური მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ძლიერებას. ლახვარს ჩასცემს დასავლეთ გერმანიის ომის გამჩაღებლებს.

შაფშტედტელებმა როცა თავისი საწარმოო კოოპერატივის შვიდწლიანი გეგმა შეადგინეს და მისი გადაჭარბებით შესრულება იკისრეს. ისინი ემყარებოდნენ იმ გამოუვლინებელ რეზერვებს, რაც მათ ასე უხვად აქვთ. აგრეთვე სახალხო ხელისუფლებისა და ერთიანი სოციალისტური პარტიის დახმარებას. შვიდწლედის მანძილზე, როგორც ეს გათვალისწინებულია გეგმით. შაფშტედტის კოოპერატივი ჰექტარზე ხორბლის მოსავალს გაზრდის 42 ცენტნერამდე ნაცვლად შარშან მიღებული 35 ცენტნერისა.

თვალსაჩინოდ გადიდდება აგრეთვე შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა. როგორც ვ. პაიცონმა განაცხადა, მიმდინარე წელსვე საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებული იქნება 375 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო 1965 წელს — 450 ცენტნერი.

რძის საშუალო წველადობა ძროხაზე თუ შარშან 3.076 კილოგრამს შეადგენდა, უახლოეს წლებში იგი აყვანილ იქნება 3.500 კილოგრამამდე.

შაფშტედტელები ხორცის წარმოებას გაადიდებენ ხარების, არაჯიშიანი ძროხების, აგრეთვე 100 კილოგრამი წონის ხბოების გაძლიერებული გასუქების გზით.



შაფშტედტის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივში დღითიდღე აძლიერებენ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. სურათებზე: ზემოთ — გალიური წესით ქათმების შესანახი დანადგარი. იგი აღჭურვილია აგრეთვე ავტომატური საკვებურითა და სარწყულებელი მოწყობილობით; ქვემოთ — ახალი საწველავი აგრეგატი, რომელიც ძროხებს ხელით წველასთან შედარებით ოცჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

გარდა ამისა, მიღებული იქნება 300 ცენტნერი ცხვრის ხორცი. გადიდდება ღორის ხორცის წარმოებაც. მარტო მიმდინარე წელს, როგორც გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით, 100 ჰექტარ სახნავზე მიიღებენ 120 ცენტნერ ღორის ხორცს, ხოლო 1965 წელს — 144 ცენტნერს. ასევე თვალსაჩინოდ გადიდდება ფრინველის ხორცის და კვერცხის წარმოება.

— ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის თავდადებულ ბრძოლაში, — ამბობს ამხ. ვ. პაიცონი, — უეჭველია ძმური დახმარების ხელს გამოგვიწვდიან თავიანთი გამოცდილების გაზიარებით საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობები. ეს ფასდაუდებელი დახმარება იქნება ჩვენთვის. მე ვფიქრობ, და ალბათ ამას ჩვენი კოოპერატივის ყველა წევრი გაიზიარებს, რომ გამოცდილების ურთიერთ გაზიარება ფართოდ უნდა განვავითაროთ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის რაც შეიძლება მეტმა საწარმოო კოოპერატივებმა და სახალხო მამულებმა გააფართოონ მეგობრული ურთიერთობა და შეჯიბრება სსრ კავშირის კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან. ამ მიზნით კარგი იქნება, თუ საქმეს ისე მოვაწყობთ, რომ ხშირად ვხვდებოდეთ ერთმანეთს, გვქონდეს საქმიანი მიწერ-მოწერა, რათა ერთიანი ძალით ვიბრძოლოთ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შვიდწლიანი გეგმების სასახელოდ შესრულებისათვის.

ამ რამდენიმე ხნის წინათ შაფშტედტის საწარმოო კოოპერატივის წევრმა ბერტა ჰარინგმა საჯაროდ განაცხადა:

„ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებით, რადგან ამ გეგმაშია ჩაქსოვილი ჩვენი ცხოვრების ნათელი მომავალი, ჩვენი აზრი და გრძნობები. ამ დიდებული გეგმის ღირსეულად შესრულებით ჩვენ ვუჩვენებთ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებს, თუ რის გაკეთება შეგვიძლია. დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა სულ მალე თვალნათლივ დაინახავს და შეიგნებს, თუ რა სჯობს: მეტი ხორცი, რძე და კარაქი თუ რაკეტები და ატომური ზარბაზნები. ჩვენ მიერ გასუქებული ყოველი საკლავი მძიმე ლახვარი იქნება ბატონ მილიტარისტებისათვის. გაივლის არცთუ ისე დიდი დრო, და ისინი ველარ შეძლებენ ფეხზე დგომას. ასე შევუწყობთ ხელს ჩვენ, გლეხები, მშვიდობის შენარჩუნებას და განმტკიცებას“.

ბერტა ჰარინგი მარტო როდია. იგი ამ სიტყვებით გამოხატავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მილიონობით შრომისმოყვარე გლეხის აზრსა და გრძნობებს.

და კარგია, რომ ეს ასეა.

**ევალდ ბორუფკა.**

ჰალე-შაფშტედტი, მაისი, 1959 წ.



ვილჰელმ პაიცონი (სურათზე მარცხნივ) ესაუბრება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ჰალეს საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ფრანც ბრუკს (შუაში) და ბერნბურგის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს დოქტორ ჰერბერტ მიულერს (მარჯვნივ) სასილოსე სიმინდის ჯიშის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მშენებლობა

# სოფლის თავკაცებს სოფლისათვის „არა სცალიათ“

ავტობუსი ალაზნის ხიდს გასცდა, სოფელ შაქრიანს რომ მიუახლოვდა, გზის ამოსავლეთისაკენ აიღო. მგზავრები ბუნების სიმშვენიერით ტკბებოდნენ. სიმინდის მწვანე კვადრატები, დათავთავებული ხორბლეული, პატარძალივით მორთული ზვრები მნახველის თვალს იტაცებდა.

მგზავრები ტკბილად საუბრობდნენ. თმაშევერცხლილი მოხუცი ჯერ სხვებს უსმენდა, შემდეგ კი დრო იხელთა და თვითონაც თქვა:

— ათი წელია, რაც თბილისში არა ვყოფილვარ, შვილებმა შემომითვალეს ჩამოდი გვნახეო, და მეც არ დავიზარე. სამ დღეს ვათვალიერებდი ჭალარა ქალაქს. ვნახე ახალი უბნები, ქუჩები, ბაღები. თბილისის სილამაზემ, გამშვენიერებამ, გაახალგაზრდავებამ დამატკბო.

— ძია მელიტონ, — მიმართა ერთმა ახალგაზრდამ, — ქალაქები კი არა, სოფლებიც მშვენდება. თუ გნებავთ ყვარელი აიღეთ. ფართო და ლამაზი ქუჩები, ღამ-ღამობით ილიჩის ნათურებით რომ არის გაჩირაღდნებული, ლამაზი საცხოვრებელი სახლები, კულტურის სახლი, კინოთეატრი, ბაღები და სკვერები, — აი რა ამშვენებს მას. არც ახალსოფელი, გავაზი და ჭიკაანია მოუწყობელი.

— ეჰ, შვილო, — შეესიტყვა ვარდისფერთავსაფრიანი მანდილოსანი, — ქალაქებიც დამშვენდა და სოფლებიც, მაგრამ ენისელს მაინც არაფერი ეშველა. სოფლის თავკაცებს სოფლის ჭირ-ვარამი არ აწუხებთ.

...ყვარლისკენ მიმავალი ავტომანქანა ენისელში გაჩერდა. მგზავრებს ვემშვიდობებით და სოფლის მთავარ ქუჩას მივუყვებით. წყაროსთან, სოფლის ცენტრში, ორი საპარიკმახეროა. დამტვრეული სკამები, დაბინძურებული მაგიდა, ჭუჭყიანი საპარსი ინვენტარი, უხალათო და გაუპარსავი პარიკმახერები — აი მთელი ავლადიდება.

გზის მარცხნივ, ერთი შენობის დაბლა სართულში, დაკლული ცხვრები და თხები ეკიდა. წერტში საშინელი უსუფთაობა იყო. დაჟანგული სასწორი, ნაჯახი, დანები, ჭუჭყიანი ტილოები, დიდძალი ბუზი, მტვერი — აი წერტის „სიმდიდრე“. წერტს წარწერა არა აქვს, მაგრამ გამოირკვა, რომ იგი ენისელის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის.

„აფთიაქი“ — ასეთი წარწერა აქვს ერთ შენობას. დანგრეულ კიბეზე ფრთხილად ავედით. სიფრთხილე საჭირო გახდა აივანზეც. ათი კვადრატული მეტრი ფართობის ოთახში წარმოებს რეცეპტების მიღება, წამლების დამზადება, მისი სტერილიზება. აფთიაქარმა ნათელა ვარდოშვილმა გვითხრა, ეს ოთახი კერძო პირს ეკუთვნის, ყოველთვიურად 120 მანეთს ვუხდითო.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობაში საბჭოს მდივანი დაგვხვდა. ჩვენი მისვლის მიზანი რომ განვუცხადეთ, ოქმების გროვა გადმოგვილაგა და გვითხრა — „აი წაიკითხეთ, გაეცანით და დარწმუნდებით, რომ ჩვენი სოფლის ხელმძღვანელები ბევრს ზრუნავენ კეთილმოწყობაზე“.

მართლაცდა სესიისა და აღმასკომის სხდომა ისე არ ჩატარებულა, რომ სოფლის გამშვენიერებაზე არ ილაპარაკონ. ეს კარგია, მაგრამ განა მარტო ლაპარაკი საქმეს შველის? ისმენენ, ადგენენ, მაგრამ არ ასრულებენ. 1957 წლის 27 ნოემბერს მახარაძელთა თაოსნობის პასუხად სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკითხი განიხილავთ, სამწლიანი გეგმა შეადგინეს, მისი შესრულების გზებიც დაისახეს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

დადგენილებაში ვკითხულობთ: ენისელში აშენდეს საკოლმეურნეო კლუბი, აბანო, ელექტროწისქვილი, დამთავრდეს ელექტროქსელის რეკონსტრუქცია, წყაროს უკან მოეწყოს სკვერი...

ახალი კლუბი კი არა, ძველი აქვთ და იმისთვისაც ვერ მოუვლიათ. კარ-ფანჯრები დამტვრეულია. ამ ოთხი წლის წინათ სასოფლო საბჭოს მიერ კოლმეურნეობისათვის გადარიცხული 49.407 მანეთი ფული დღესაც „შენახულია“. განა არ შეიძლებოდა ამ თანხით პატარა, მაგრამ ჯერჯერობით საჭირო კლუბი შეეკეთებინათ?

კოლმეურნეობას 1948 წელს აბანოს აშენება დაუწყია. კედლები აუყვანიათ და თავი მიუნებებიათ. იგი ყვარლის ყველ-კარაქმრეწვის რაიკანტორას დაუმთავრებია და ქარხანა გაუხსნია. ენისლელები აბანოს აშენებას მოითხოვენ, მაგრამ ამას ყურად არავინ იღებს.

ინწობჰესი სოფელ საბუის შემდეგ ყველაზე ახლოს ენისელთან არის, მაგრამ მისი ენერგია ენისლამდე რატომღაც „ვერ აღწევს“. საქმე ის არის, რომ ხუთი წლის წინათ ქსელი დაზიანებულა და მისი აღდგენა დღემდე ვერ მოუხერხებიათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სასოფლო საბჭოს აღმასკომის წევრი მ. ბურდიაშვილი სოფლის კეთილმოწყობისათვის ნაკლებად ზრუნავს.

სოფელი გრემი ბუნებას შეუმკია, მაგრამ მას ადამიანის ხელი ნაკლებად ატყვია. ეს სოფლის მესვეურებმაც იციან, თავს კი რატომღაც არ იწუხებენ. ამ ოთხიოდე წლის წინათ ენისლის სასოფლო საბჭოდან 24.389 მანეთი ფული მიიღეს, „ბიბლიოთეკას ავაშენებთო“. მაგრამ ამაოდ. საექიმო უბნის შენობაც უნდა აეგოთ. ასეთი იყო დაპირება, მაგრამ დღემდე ექიმებს დაქირავებულ შენობაში ამუშავებენ.

კოლმეურნეობის კანტორაში შევედით, ვნახეთ თავმჯდომარის სამუშაო ოთახი. აქ ცუდ ამინდში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ჩაბრაშვილი, რომელიც ენისლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის წევრია, უქოლგოდ ვერ იმუშავებს. განა იგი სოფელს გაამშვენიერებს?

სოფელ შაქრიანსაც ვესტუმრეთ. კოლმეურნეობას სასოფლო საბჭოს აღმასკომის წევრი ა. ხიდიშელი ხელმძღვანელობს. სოფლის გზები დანგრეული და დაბინძურებულია. 1955 წელს შაქრიანელებს სასოფლო საბჭოდან თერთმეტი ათასი მანეთი მიუღიათ ბიბლიოთეკის ასაშენებლად. ფული „შემოხარჯვიათ“ და გამოსავალიც უპოვნიათ, ბიბლიოთეკისათვის ოთახი დაუქირავებიათ. დღემდე გადახდილი აქვთ 2.500 მანეთზე მეტი.

ენისლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. ნერსეზაშვილი და აღმასკომის წევრები ქმედით ზომებს არ იღებენ სოფლის კეთილმოწყობისათვის. სოფლის თავკაცები უმოქმედობენ, მათ ამ საქმისათვის „არა სცალიათ“.

ხ. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

### „რატომ არის დაბალი წველადობა?“

კორესპონდენცია „რატომ არის დაბალი წველადობა?“, რომელიც „კომუნისტის“ 15 აპრილის ნომერში დაიბეჭდა, ამხილებდა ხაშურის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობათა ჩამორჩენას წველადობის გეგმის შესრულებაში და ანალიზს უკეთებდა ამ ჩამორჩენის მიზეზებს.

ამ კორესპონდენციის გამო მსჯელობა ჰქონდა პარტიის ხაშურის რაიკომის ბიუროს, რომელმაც გაზეთის კრიტიკა სწორად ცნო და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

რაიკომის ბიურომ საყვედური გამოუცხადა სოფელ იტრიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. კორკოტაძეს, ხოლო სოფლებში ჩუმათელეთისა და ცხრამუხის კოლმეურნეობათა გამგეობებს რჩევა მისცა სამუშაოდან გაათავისუფლონ მეცხოველეობის ფერმების გამგეები ს. კორკოტაძე და ზ. თიგიშვილი ძროხების ცუდი მოვლა-პატრონობისა და წველადობის საგრძნობლად შემცირებისათვის.

### „როგორ ნადგურდება კულტურის ძეგლი“

„კომუნისტის“ 9 აპრილის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა ნ. ჯიოშვილის წერილი სოფელ მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის შესახებ. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ საუკუნეებგამოვლილი ეს ძეგლი მოუვლელი და უყურადღებოდ მიტოვებულია. ღვთისმშობლის ტაძრის ფართო, ჩუქურთმიან დარბაზს კოლმეურნეობა საწყობად იყენებს. ქართული არქიტექტურის ამ შესანიშნავ ქმნილებას განადგურება ემუქრება.

ამ წერილთან დაკავშირებით კასპის რაისაბჭოს აღმასკომიდან გვატყობინებენ, რომ მიღებულია ზომები მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის დასაცავად, მეტეხის კოლმეურნეობას აეკრძალა ტაძრის გამოყენება სამეურნეო დანიშნულებისათვის და დაევალა შეაკეთოს ტაძრის ეზოს დაზიანებული ღობე.

## მშრომელთა კეთილდღეობისათვის

### საავთიაქო მაღაზია

გურჯაანი. (საკ. კორ.). საქართველოს მთავარმა საავთიაქო სამმართველომ რაიონის ცენტრში გახსნა მაღაზია, სადაც საკმაო რაოდენობით არის მზა მედიკამენტები, სანიტარულ-ჰიგიენური საქონელი და სხვ. მაღაზიასთან მოწყობილია სათვალის სახელოსნო, რომელიც მომსახურებას უწევს სხვა რაიონებსაც.

### ფართოვდება სავაჭრო ქსელი

ონი. („კომუნისტის“ კორ.). ყოველწლიურად იზრდება საქონელბრუნვა ონის რაიონში. მომხმარებელთა უკეთ მომსახურების მიზნით უკანასკნელ წლებში სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელს რამდენიმე ახალი ნაგებობა შეემატა. სოფლებში სორში და ღებში დამთავრდა სოფლის ახალი მაღაზიების მშენებლობა. რაიონში გაიხსნა აგრეთვე კაფე-საკონდიტრო.

### ახალი კინოთეატრი

ორჯონიკიძე. („კომუნისტის“ კორ.). ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა მიიღეს ახალი საჩუქარი — ტიპური პროექტით აშენებული კეთილმოწყობილი 400-ადგილიანი კინოთეატრი, რომლის აგება ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა.

# წერილები რედაქციას

### ქართული სტამბის 250 წლისთავის გამო

სტამბის გამოგონება და წიგნის ბეჭდვის დაწყება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ადამიანთა საზოგადოების მიერ საუკუნეების მანძილზე შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ხომ თაობიდან თაობაზე უმთავრესად წიგნის საშუალებით გადადის. სტამბის გამოგონება რომ არა, მეცნიერებისა და კულტურის ბევრი მიღწევა უცნობი იქნებოდა კაცობრიობისათვის.

როგორც ცნობილია, პირველი ქართული წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ დაიბეჭდა ქ. რომში 1629 წელს, ხოლო 80 წლის შემდეგ, 1709 წელს, ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში ქართულ ენაზე დაიბეჭდა „სახარება“, „სამოციქულო“, 1712 წელს პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და ა. შ. ამრიგად, პირველი ქართული სტამბის დაარსებიდან წელს სრულდება 250 წლისთავი.

კარგი იქნება, თუ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო ითავებს პირველი ქართული სტამბის დაარსების 250 წლისთავის ფართოდ აღნიშვნას, რასაც სიხარულითა და სიამაყის გრძნობით შეხვდება ყველა მშრომელი.

ალ. კოკაია,
კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სწავლული მდივანი.

### ტვირთბრუნვის გაადვილებისათვის

სახალხო მოხმარების საგნების კონტეინერებით გადაზიდვას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამაში ყველა დაგვეთანხმება.

კურორტვაჭრობის აბასთუმნის განყოფილება ხშირად იღებს მომწოდებლებისაგან კონტეინერებით გამოგზავნილ ქსოვილებს, ტრიკოტაჟს, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, საკონდიტრო ნაწარმს და სხვ. მაგრამ კონტეინერებს რკინიგზის ბორჯომის სადგურში ცლიან და იქიდან აბასთუმნამდე 80 კილომეტრის მანძილზე ავტომანქანებით გვიხდება საქონლის გადაზიდვა.

სატრანსპორტო ხარჯებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბორჯომიდან აბასთუმნამდე კონტეინერების მანქანებით გადატანა დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან, განსაკუთრებით ზამთარში, და გავლენას ახდენს მთელი რიგი საქონლის ხარისხზეც.

ახალციხემდე კონტეინერები რკინიგზით იმიტომ არ მიაქვთ და ბორჯომის სადგურში იმიტომ ცლიან, რომ ახალციხის სადგურში საკონტეინერო ბაქანი არ არის. განა არ შეიძლება, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ ახალციხეში მოაწყოს საკონტეინერო ბაქანი?

ი. ბახტურიძე,
საქართველოს კურორტვაჭრობის აბასთუმნის განყოფილების მმართველის მოადგილე.

## კოლმეურნეები მუზეუმში

ამ დღეებში ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს ექსკურსიით ესტუმრნენ მარნეულის რაიონის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, რაიონის პარტიული აქტივი, სულ 1350 კაცი.

ექსკურსანტებმა მოისმინეს ლექციები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და გაეცნენ დოკუმენტებს, მასალებს, მხატვრულ სურათებს. მათ განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეს საუბარი იმის შესახებ, თუ პრაქტიკულად როგორ განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა, როგორ შეისხა ხორცი ლენინის იდეებმა და საბჭოთა ხალხი დიად გამარჯვებამდე მიიყვანა.

დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ექსკურსანტები შვიდწლიანი გეგმის ამსახველ დიაგრამებს და სხვა მასალებს, რომლებიც მკაფიო წარმოდგენას იძლევიან პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებზე. მარნეულის რაიონის მშრომელები გაეცნენ აგრეთვე ლენინის მუზეუმის შენობაში მოწყობილ საინტერესო გამოფენას, მიძღვნილს ხუთგზის ორდენოსანი კომკავშირის 40 წლისთავისადმი.

ექსკურსანტებს გულთბილი მიღება მოუწყო ლენინის მუზეუმის მთელმა კოლექტივმა. ლექციების შემდეგ ექსკურსანტებმა ნახეს დოკუმენტური ფილმი „ვ. ი. ლენინი“.

ა. სუხიშვილი,
ვ. ი. ლენინის მუზეუმის ლექტორი.

# ლიტერატურა და ხელოვნება

## ნ. კურგაპკინას და ბ. ბრეგვაძის გასტროლები



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმატებით ჩაიარა ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის აკადემიური თეატრის სოლისტების რსფსრ დამსახურებული არტისტის ნ. კურგაპკინას და რსფსრ სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ბორის ბრეგვაძის გასტროლებმა.

ნ. კურგაპკინა და ბორის ბრეგვაძე საბჭოთა ბალეტის ნიჭიერი ახალგაზრდობის წარმომადგენლები არიან. მათი შემოქმედებითი ბიოგრაფია საკმაოდ მრავალფეროვანია. ისინი ლენინგრადის თეატრის სცენაზე წამყვან პარტიებს ცეკვავენ ისეთ ბალეტებში, როგორიც არის კრეინის „ლაურენსია“, გლიერის „ბრინჯაოს მხედარი“, იარულინის „შურალე“, პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“, ხაჩატურიანის „სპარტაკი“ და „გაიანე“ და სხვ.

ბორის ბრეგვაძე ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია 1947 წლიდან. იგი მონაწილეობას იღებდა პრაღისა და ბერლინის სტუდენტთა და ახალგაზრდობის ფესტივალებში, სადაც საბალეტო კონკურსში მას პირველი ხარისხის პრემიები მიეკუთვნა. იგი არაერთხელ ყოფილა გასტროლებზე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, საფრანგეთში, შვეციაში, ფინეთში.

1950 წელს ბალეტ „შურალეში“ მონადირე ბატირის როლის შესრულებისათვის მიენიჭა სტალინური პრემია, 1954 წელს საბალეტო ხელოვნების განვითარებისათვის მიიღო რსფსრ დამსახურებული არტისტის წოდება, ხოლო 1957 წელს რსფსრ სახალხო არტისტის წოდება.

საქართველოში ბ. ბრეგვაძის ეს პირველი გასტროლია. „მე ვიცი, — განაცხადა მან, — რომ თბილისელი მაყურებელი ძნელია გააკვირვო, რადგან ისინი სისტემატურად ტკბებიან ბალეტის დიდი ოსტატის ვახტანგ ჭაბუკიანის ცეკვით. ჩემი გასტროლების მიზანია გავაცნო ჩემი ნამუშევარი თანამემამულეებს“.

თბილისის ბალეტის მოყვარული მაყურებლები დიდი ინტერესით შეხვდნენ ბ. ბრეგვაძისა და ნ. კურგაპკინას გამოსვლას ბალეტ „დონ-კიხოტში“. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზი ხალხით იყო სავსე. ლენინგრადელმა სტუმრებმა სცენაზე გამოსვლისთანავე მაყურებელთა აღტაცება გამოიწვიეს.

ბალეტის ურთულესი ნომრების შესრულების დროს ნ. კურგაპკინამ და ბ. ბრეგვაძემ გვიჩვენეს ცეკვის ვირტუოზული ტექნიკა. ბაზილს ბ. ბრეგვაძე ცეკვავდა თავისუფლად, დიდი გატაცებითა და დამაჯერებლობით, ნამდვილი ქართული ტემპერამენტით. მან გამოავლინა შესანიშნავი მოცეკვავისა და მსახიობის ნიჭი, შერწყმული დიდ მუსიკალობასთან.

ნ. კურგაპკინამ ჩელიტას პარტიაში თბილისელი მაყურებლები მოაჯადოვა მსუბუქი ცეკვით, დახვეწილი ტექნიკით, პლასტიკურობით, მუსიკალობით, მჩქეფარე ტემპერამენტით.

27 მაისს ბ. ბრეგვაძე და ნ. კურგაპკინა თბილისის ოპერისა და ბალეტის სოლისტებთან ერთად გამოვიდნენ კონცერტით, სადაც შეასრულეს ფანტაზია გლიერის ბალეტიდან „ბრინჯაოს მხედარი“, შტრაუსის ვალსი „ფანტაზია“, კლასიკური დუეტი ბალეტიდან „კორსარი“, მოშკოვსკის „ვალსი“ და სხვები. მათ გამოსვლას ამჯერადაც დიდი წარმატება ხვდა.

ლენინგრადელი არტისტების წარმატებით გამოსვლას ბალეტ „დონ-კიხოტში“ ხელი შეუწყო მასპინძლების შესანიშნავმა ცეკვებმა. აღსანიშნავია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის მ. გრიშკევიჩის, ბალეტის სოლისტების ჟ. შაზუკიანის, ი. ისინსკაიას, ლ. მითაიშვილის და სხვების წარმტაცი ცეკვები.

შ. მგელაძე.

* * *

სურათზე: ნ. კურგაპკინა და ბ. ბრეგვაძე ასრულებენ მოშკოვსკის ვალსს.
ფოტო გ. გოგოხიასი.

## ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა:

ვაჟა ფშაველა — რჩეული ლექსები. რედაქტორი ვ. ჯაჯახაძე, მხატვარი ლ. ღუნდუა. გვ. 390, ფასი 9 მანეთი და 50 კაპ.

მ. შოლოხოვი — წყნარი დონი (წიგნი მესამე). თარგმანი თინათინ ჯავახიშვილისა, რედაქტორი როდიონ ქორქია, მხატვარი ს. კეცხოველი. გვ. 480, ფასი 8 მანეთი და 40 კაპ.

გალაკტიონ ტაბიძე — რჩეული ლექსები. რედაქტორი ვ. ჯაჯახაძე, მხატვარი ლ. გრიგოლია. გვ. 627, ფასი 13 მან. და 25 კაპ.

## გორის თეატრის სპექტაკლები თბილისში

მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი დამყარდა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრსა და გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრს შორის. მათ გადაწყვიტეს მიმდინარე სეზონში მოაწყონ სპექტაკლების ურთიერთ გაცვლა. გორის სახელმწიფო თეატრი სამშაბათობით თავის სპექტაკლებს უჩვენებს თბილისელ მაყურებლებს, ხოლო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები ორშაბათობით სპექტაკლებს გამართავენ გორში. ასეთ კავშირს დიდი მნიშვნელობა ექნება თვით თეატრების შემოქმედებითი ზრდისათვის და ამავე დროს დაეხმარება პერიფერიის თეატრის კოლექტივს გააცნოს თავისი ნამუშევარი დედაქალაქის მაყურებლებს.

გორის თეატრმა თბილისელებს უკვე უჩვენა თავისი ახალი სპექტაკლები: ლ. მილორავას რომანტიკული კომედია „კერპ-ჯიუტა“ და გ. ზაპოლსკაიას ცნობილი ტრაგიკომედია — „პანი დულსკაიას მორალი“. „კერპ-ჯიუტას“ დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ვ. ფაჩულიას, სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა შ. ხუციშვილმა, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ს. მირიანაშვილმა,

პოლონელი დრამატურგის ცნობილი პიესის დადგმა განახორციელა რეჟისორმა გ. აბრამიშვილმა, მუსიკა ეკუთვნის ა. ჩორგოლაშვილს.

25 მაისს გორელმა მაყურებლებმა ნახეს კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „ტაიფუნი“.

# მაღალი ოსტატობისათვის

ირაკლი აბაშიძე

ქართველ მწერლებს სულით და გულით სურთ, რომ ჩვენი მესამე ყრილობა ისეთივე შესამჩნევი ნიშანსვეტი გახდეს საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, როგორიც იყო წინა ყრილობები, განსაკუთრებით პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ჩვენი შემოქმედებითი ძალების მჭიდროდ შეკავშირებისათვის.

კომუნიზმის მშენებლობის გაშლის პერიოდის სწორედ დასაწყისში შევიკრიბეთ ამ ყრილობაზე, რათა განვიხილოთ უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი პრობლემები ჩვენი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისა, რომელიც ახლა თავისი განვითარების ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე ადის. ეს პრობლემები უნდა გავაშუქოთ და გადავჭრათ იმ უაღრესად ძვირფასი შემოქმედებითი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, რომელიც ჩვენმა ლიტერატურამ ჩვენი მეორე ყრილობის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე შეიძინა.

ამ წლების განმავლობაში როგორც ყველა მოძმე ლიტერატურაში, ისე ქართულ ლიტერატურაშიც დიდი ძვრები მოხდა. თანამედროვე თემა, ახალი ადამიანის მხატვრული სახეებით გამოხატვის პრობლემა წამყვანი, განმსაზღვრელი გახდა ქართველი მწერლების შემოქმედებაში.

ჩვენს მესამე ყრილობას შეიძლება პერსპექტიული ყრილობა ეწოდოს. მისი მისწრაფებაა განჭვრიტოს მომავალი, იგი მოწოდებულია გაიაზროს დიდი ამოცანები, რომლებიც პარტიამ და ხალხმა შვიდწლედით დასახეს. არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ მნიშვნელობა მწერალთა მუშაობისა შვიდწლედის ამოცანათა შესრულების საქმეში. პარტია არა მარტო მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენი მუშაობის მნიშვნელობას, არამედ გვიჩვენებს იმ ერთადერთ სწორ გზასაც, რომელზეც შეგვიძლია ვიმუშაოთ ყველაზე მეტი ეფექტიანობით, ყველაზე უფრო, ასე ვთქვათ, სასარგებლო კოეფიციენტით. „საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, რომლებიც უდიდეს როლს ასრულებენ კომუნისტურ მშენებლობასა და ახალი ადამიანის აღზრდაში, — თქვა მოხსენებაში პარტიის XXI ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა, — თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, კიდევ უფრო სრულად ასახონ საბჭოთა ხალხის ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის“.

ჩვენ, საბჭოთა მწერლებმა, გონებითა და გულით მივიღეთ ეს პროგრამა. ეს გვიჩვენა, კერძოდ, მწერალთა რესპუბლიკურმა ყრილობებმა. ამას გვიჩვენებს ჩვენი საკავშირო ყრილობაც.

შვიდწლედში საბჭოთა მწერლების დიდ ზოგადპოლიტიკურ ამოცანებზე ა. ა. სურკოვის მოხსენებაში სწორად და საკმაოდ არის ნათქვამი. გამეორება რომ არ გამომივიდეს, შევეხები რამდენიმე საკითხს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ორგანიზაციული ხასიათისაა. მაგრამ არსებითი დამოკიდებულება აქვთ ყველაზე პირველი რიგის შემოქმედებით საქმეებთან და პრობლემებთან.

პირველ რიგში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის აზრისა და დანიშნულების შესახებ. რისთვის გვესაჭიროება იგი, რას უნდა აკეთებდეს იგი, მით უმეტეს რსფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის შექმნის შემდეგ, უმთავრესად რით უნდა იყოს აღსავსე ჩვენი ეგრეთწოდებული „მწერალთა შიდასაკავშირო ცხოვრება“? ვგონებ, ეს ყველასათვის ნათელია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება მოვიყვანო ამის შესახებ ა. ა. ფადეევის, ჩემი აზრით, ძალიან ზუსტი სიტყვები: „უნდა გვახსოვდეს, რომ მწერალთა კავშირის მუშაობის აზრია არა სასხდომო „ამაოება ამაოებათა“, არამედ ის, რომ ხელი შეუწყოს კარგი მხატვრული ნაწარმოების შექმნას“. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს კავშირში არ ხორციელდებოდა საერთო-საკავშირო მასშტაბის ღონისძიებანი, რომლებიც არ ასრულებდნენ ამ როლს — ხელი შეეწყოთ, დახმარებოდნენ მწერლებს მათს შემოქმედებაში. ასეთი ღონისძიებანი იყო.

მაგალითად, გამგეობის მესამე პლენუმმა დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა ლიტერატორების რიგების იდეური ერთიანობის განმტკიცებას. მაგრამ რა დაგვამახსოვრდა სხვა ღონისძიებებიდან? თითქმის არაფერი. ჩვენი სხდომებისა და კრებების ყველაზე არსებითი ნაკლია საგრძნობი მოწყვეტა ცოცხალი ლიტერატურული პროცესისაგან, კონკრეტული წიგნებისაგან, შემოქმედების გარკვეული საკითხებისაგან.

რატომ არ შეგვიძლია მოვაწყოთ საერთო-საკავშირო ან სარესპუბლიკათაშორისო ლიტერატურული თათბირები? არა საერთოდ ლიტერატურის შესახებ რამდენიმე წლის განმავლობაში, არა საერთოდ პოეზიის შესახებ, არამედ უფრო გარკვეულად — ამა თუ იმ ჟანრის ან თუნდაც ცალკეული ნაწარმოებების ბედის, მოძრაობის შესახებ.

რატომ სპეციალურად არ უნდა განვიხილოთ ჩვენი ლიტერატურის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების საჭიროების საკითხი? არა მარტო მოვუწოდოთ ამ ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, არამედ კონკრეტულად გავუკეთოთ ანალიზი, ვიდავოთ ამ საკითხის სხვადასხვა მხარის შესახებ.

აი ერთი ამ ამოცანათაგანი.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ რაკი ჩვენი ლიტერატურის განმასხვავებელი თვისებაა მისი ხალხურობა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი „უბრალო“ უნდა იყოს. მოდით გავერკვეთ ამ „უბრალოებაში“. რას ვგულისხმობთ ამ სიტყვით? ხელოვნების დიდ უბრალოებას, სადაც ყველაფერი ადგილზეა და არაფრის მიმატება ან დაკლება არ შეიძლება, ესე იგი მაღალ სრულყოფას, მაღალ კულტურას, რომელიც შორს არის პრიმიტივისაგან და მტრულია ფორმალისტური „ოსტატურობისადმი“. მაგრამ პრაქტიკაში განა არ არის შემთხვევები, როცა უბრალოებად იგულისხმება ყალბი ხალხურობა, სენტიმენტალობა, პრიმიტივი, მოთაფლულობა? ჭეშმარიტი მხატვრული უბრალოების საკითხში გარკვევას, ჩემი აზრით, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ დღეს: უკანასკნელ ხანს ჩვენ როგორღაც დავკარგეთ ინტერესი ამ საკითხებისადმი. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ შვიდწლედის ეპოქის მკითხველი ჩვენგან მაღალ ხელოვნებას მოელის!

დასავლეთში პოეზია, რომელიც ბურჟუაზიულ მსოფლშეგრძნებასთან არის დაკავშირებული, კამერულობის, დეკადანსის, მე ვიტყოდი, კიბერნეტიკული სულდგმულობის ჩიხში მოექცა, თითქოს ლექსებს წერდეს არა ადამიანი, არამედ თუმცა ჭკვიანი, მაგრამ უსულო მანქანა. ასეთი ლიტერატურის მომხრეები და მოყვარულები ბრალად გვდებენ, რომ მოკლებული ვართ ოსტატობას. ჩვენ რაღას ვაკეთებთ? ვიცავთ თავს, ვიცავთ ჩვენს ლიტერატურას. მაგრამ როგორ ვაკეთებთ ამას? განა საჭიროა ასეთი განზრახი თავდასხმებისაგან ვიცავდეთ, ვთქვათ, ტვარდოვსკის, გ. ტაბიძის, ისააკიანის, რილსკის, ვურგუნის, კოლასის მაღალ ხელოვნებას? როგორც იტყვიან, ვისაც თვალნი აქვს ხედვად, ხედავდეს, „თავის გასამართლებელი“ ჩვენ არაფერი გვაქვს!

მაგრამ, მეორე მხრივ, საჭირო არ არის „ვამართლებდეთ“ ჩვენს სისუსტეს არც საკუთარი თავის წინაშე, არც ჩვენი მეგობრების წინაშე, თვით მტრების წინაშეც კი. ასეთ კილოს კი შიგადაშიგ გაიგონებ ჩვენს წრეში, ჩვენს კრიტიკაში.

მინდა მოვიყვანო მაგალითი. აი ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურაში“ დაბეჭდილი იყო ი. ბორევის კარგი, სასარგებლო სტატია ფრანგული რევიზიონიზმის შესახებ. და აი ასეთ სიტყვებს წავაწყდი: „წარსულის ლიტერატურა, — წერს ი. ბორევი, — ასეულ წლობით აგროვებდა ტექნიკურ ხერხებს, საშუალებებს, ჩვევებს ეჭვიანობისა და სიყვარულის, შურისა და მომხვეჭელობის გრძნობის, გმირობისა და თავდადების გამოსახატავად და ა. შ. მაგრამ ლიტერატურა, განსაკუთრებით გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, შეხვდა ადამიანის სოციალისტური ყოფიერების თვისებრივი თავისებურებით წარმოშობილ უაღრესად მრავალფეროვან ახალ გრძნობებს, აზრებს, მოქმედებას. ავად თუ კარგად, ჩვენი ლიტერატურა ასახავს ყოველივე ამას, — ახლა დგაა სხვა რამეზე, ჩვენი ლიტერატურის პრინციპულ ნოვატორობაზე, და თუ საბჭოთა ოსტატები ყოველთვის როდი ახერხებენ დახატონ ცხოვრება ისე ღრმად, როგორც ეს თვითონ სურთ, ეს აიხსნება არა კლასიკური ნორმატივების გავლენით, არამედ იმ საქმის ისტორიული სიახლით, რომელსაც ისინი აკეთებენ“.

რა თქმა უნდა, კლასიკა აქ არაფერ შუაშია. და, რა თქმა უნდა, ჩვენი ლიტერატურის ნოვატორობის საფუძველია ჩვენი პრობლემების ისტორიული სიახლე და ახალი მსოფლშეგრძნების მქონე საბჭოთა ადამიანის ისტორიული მნიშვნელობა. მაგრამ იმ საქმის ისტორიული მნიშვნელობისათვის, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ, არასოდეს არ ყოფილა სულ ერთი, „ავად კეთდება იგი თუ კარგად“. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ყრილობა დიდ ყურადღებას მიაქცევს ხარისხისა და ოსტატობის საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენი ლიტერატურის საერთო დონის ამაღლების საჭიროებას როგორც ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე პირველი რიგის ამოცანას. ამაზე, როგორც ვხედავთ, დამოკიდებულია ჩვენი ლიტერატურის კიდევ უფრო მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტიც. ჩვენი საუკეთესო მწერლები სრულებითაც არა „ავად თუ კარგად“, არამედ სწორედ კარგად, მაღალმხატვრულად გამოხატავენ თავიანთი წიგნებით საბჭოთა ლიტერატურის ისტორიულ სიახლეს.

მათ დაცვა არ ესაჭიროებათ, ცუდის დაცვა კი საჭიროც არ არის.

ამბობენ, ლიტერატურას ერთეულები, გენიოსები როდი ქმნიანო. რა თქმა უნდა, საერთოდ, მას ერთეულები არა ქმნიან. მაგრამ დიდ ლიტერატურას, იმას, რომელიც საუკუნეებს უძლებს, ყოველთვის ქმნიან მკაფიო ინდივიდუალობის მწერლები, დიდი შემოქმედი „ერთეულები“. რომლებიც ყველაზე ძლიერად გამოხატავენ მის სახეს, მისი განვითარების ტენდენციებს.

ამას იმისათვის კი არ ვამბობ, რომ როგორღაც გავკენწლო „საშუალო“ მწერლები, ეგრეთწოდებული „არა გენიოსი“ მწერლები, მაგრამ უეჭველია ის, რომ „საშუალონი“ უნდა ისწრაფოდნენ „წამყვანები“ გახდნენ, უნდა იზრდებოდნენ ოსტატებად, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ სრულებითაც არა გვყავს იმდენი, რამდენიც საჭიროა. ჩვენ უფლება არა გვაქვს გეზს ვიღებდეთ „საშუალო“ მწერალზე, საშუალო ლიტერატურაზე.

ხოლო როგორ მკითხველზე უნდა ვიღებდეთ გეზს? ავიღოთ პოეზიისა და მკითხველთა ურთიერთდამოკიდებულება. ყველა როდი კითხულობს ლექსებს. ლექსებს კითხულობს ადამიანთა გარკვეული წრე, კითხულობენ სწორედ ისინი, ვისაც უყვარს პოეზია, ვისაც ესმის იგი. ეს წრე განუწყვეტლივ ფართოვდება — ჩვენდა, პოეტთა სასიხარულოდ. ეს ძალიან დიდი, მრავალმილიონიანი წრეა. ამ მკითხველთა მაღალი გემოვნებით განისაზღვრება მაღალი მოთხოვნები ჩვენი პოეზიისადმი. სწორედ ამ მაღალ გემოვნებაზე უნდა ვიღებდეთ გეზს.

ვერა ინბერი, იტალიელ პოეტებს რომ ეკამათებოდა, ამას წინათ ამბობდა: „ჩვენი შემოქმედება მრავალ მკითხველთა ყურადღების ატმოსფეროში იფურჩქნება. ალბათ შემეკითხებიან: ხომ არ ამცირებს ეს „მასობრიობა“ პოეტური ნაწარმოების ღირებულებას? როცა მივისწრაფვით ბევრისათვის გასაგები ვიყოთ, ხომ არ ვაუბრალოებთ ჩვენს ქმნილებებს? ხომ არ ვსარგებლობთ მოძველებული ფორმებით, რომლებიც მხოლოდ იმით არის კარგი, რომ არავის ეჭვს არ აღუძრავს?“

ყველა ამ კითხვაზე პოეტი უპასუხებს: „არა, ასე არ არის“. მაგრამ ვისთვის „არ არის ასე?“ ზოგადთეორიულად, რა თქმა უნდა, ასე არ არის. მისი საკუთარი შემოქმედების მიმართ ასე არ არის; თვითონ ვ. ინბერი არ აუბრა-

(დასასრული მე-4 გვერდზე).

სტატია წარმოადგენს ირ. აბაშიძის შემოკლებულ სიტყვას სსრკ მწერალთა III ყრილობაზე.

# სამუდამოდ შეწყდეს „ცივი ომი"

## საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პლენუმი

26 მაისს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. იგი მიეძღვნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საიუბილეო სესიას, რომელიც ამას წინათ სტოკჰოლმში გაიმართა, და სსრ კავშირის მშვიდობის მომხრეთა ამოცანებს.

ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის დარბაზში, გარდა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრებისა, შეიკრიბნენ რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კომიტეტების წარმომადგენლები, აგრეთვე საზღვარგარეთელი სტუმრები — სტოკჰოლმის სესიის მონაწილენი.

სხდომა გახსნა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ მწერალმა ნ. ს. ტიხონოვმა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ განვლილ ათ წელიწადში მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა უდიდეს ძალად გაიზარდა და გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე.

მოხსენება გააკეთა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ აკადემიკოსმა ა. ე. კორნეიჩუკმა. მან დაწვრილებით ილაპარაკა 72 ქვეყნის მშვიდობის მეგობართა ღირსშესანიშნავ შეხვედრაზე სტოკჰოლმში, სადაც შეჯამებულ იქნა ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ხალხთა ათი წლის ბრძოლის შედეგები.

მსოფლიო მოძრაობის ისტორიამ, განაცხადა ა. კორნეიჩუკმა, ცხადყო, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა უძლეველია. ვერავითარი ძალა ვერ ჩაახშობს მას.

ა. კორნეიჩუკმა დაწვრილებით მოიყვანა სტოკჰოლმის საიუბილეო სესიის გადაწყვეტილების შინაარსი და თქვა, რომ ამჟამად მშვიდობის მომხრენი თავიანთ ღონისძიებებს ახმარენ იმ საკითხთა გადაჭრას, რომლებიც ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. აღმოვფხვრათ „ცივი ომი", ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების წარმატებას და უწინარეს ყოვლისა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, მივაღწიოთ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას, რაც პირველი ნაბიჯი იქნება განიარაღების გზასა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის გზაზე, ეს ძირითადი საკითხები იყო სტოკჰოლმის სესიის ყურადღების ცენტრში. მშვიდობის ყველა ეს საარსებო პრობლემა აისახა სესიის მოკლე, გამომსახველ დოკუმენტში — ხალხებისადმი მოწოდებაში. ეს მოწოდება არის მძლავრი მამობილიზებელი საშუალება, რომელმაც ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა დარაზმოს ახალი მილიონობით ადამიანი ყველა ქვეყანაში.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. კორნეიჩუკმა განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხი ცხოვლად გამოეხმაურა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას. ხალხებს შეუძლიათ მიაღწიონ და კიდევაც უნდა მიაღწიონ, რომ მთავრობათა მეთაურები შეიკრიბონ მრგვალ მაგიდასთან მოსალაპარაკებლად. ხალხებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა შეწყვიტონ „ცივი ომი".

პლენუმზე სიტყვები წარმოთქვეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა— აღმასრულებელმა, გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა პროფესორმა ჯონ ბერნალმა, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ნ. სოლოვიოვმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა აკადემიკოსმა ნ. ნ. სემიონოვმა და სხვებმა.

საბჭოთა ადამიანებს მხურვალედ მიესალმნენ უცხოელი სტუმრები — სტოკჰოლმის სესიის მონაწილენი.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მხურვალედ დაუჭირა მხარი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის სესიის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალი ომის საფრთხისაგან კაცობრიობის გადარჩენისათვის ხალხთა დიადი ბრძოლის კიდევ უფრო დიდ გაქანებას.

პლენუმმა მხარი დაუჭირა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას იმის შესახებ, რომ მოეწყოს ფართო საერთაშორისო კამპანია უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევისა და „ცივი ომის" ლიკვიდაციისათვის.

რეზოლუციის მიღების შემდეგ ინფორმაცია გააკეთა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა მ. ი. კოტოვმა. მან აცნობა დამსწრეთ, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭომ თავისი მედლებით დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მოღვაწეთა დიდი ჯგუფი.

გაფართოებულმა პლენუმმა ამით დაამთავრა მუშაობა. (საქდესი).

# ლატვიელი სტუმრები ჭიათურაში



[illegible] დაშორებული ლატვიის დედაქალაქ რიგას.

სიგულდელებისა და ჭიათურელების მეგობრობას სულ ორი წლის ისტორია აქვს, მაგრამ იგი გულითადი და გულწრფელია.

მათი მეგობრობა უბრალოდ დაიწყო. სწორედ ორი წლის წინათ ჟურნალ „ოგონიოკის" გარეკანზე დაიბეჭდა იმ სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზის ფოტოსურათი, რომელიც ჭიათურას ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროსთან აკავშირებს.

ლატვიელმა მეგობრებმა ნახეს ფოტოსურათი, გადაწყვიტეს ასეთი გზა სიგულდაშიც აეგოთ და ჭიათურაში თავისი წარმომადგენელი გამოგზავნეს. მარგანეცის ქალაქში გულთბილად შეხვდნენ სიგულდელ სტუმარს და ყოველნაირი დახმარება აღუთქვეს.

დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ლატვიელი სტუმარი სიგულდაში და ბევრი სასიამოვნო მოგონება წაიღო საქართველოდან. ჭიათურელმა სპეციალის- [illegible] რის მიწერ-მოწერა.

ლატვიაში ყოველ ზაფხულს იმართება „სიმღერის ზეიმი". შარშან ამ ზეიმზე სიგულდელებმა ჭიათურელი ახალგაზრდები მიიწვიეს. იქ გაემგზავრა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ორმოცი კაცის შემადგენლობით. მეგობრულად, სტუმართმოყვრულად შეხვდნენ ჭიათურელებს სიგულდელი მოძმეები. ქართველებმა ისინი განაცვიფრეს ხალხური ცეკვებითა და სიმღერებით.

ამჯერად სიგულდელი ახალგაზრდები ესტუმრნენ მარგანეცის ქალაქს. დელეგაციას, რომელშიც 28 კაცი შედის, ხელმძღვანელობს კომკავშირის სიგულდის რაიკომის პირველი მდივანი ანტონს ვილცასი.

მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს. მათ დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები, ინახულეს ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროები, გაეცნენ ახალ ტექნიკას, მაღაროელთა შრომასა და ცხოვრებას.

კვირას, 24 მაისს, ჭიათურელმა ახალგაზრდებმა ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში შეხვედრა მოუწყეს სიგულდელ მეგობრებს. ქალაქის ქუჩებსა და თეატრს ამშვენებდა მისალმების ლოზუნგები რუსულ, ქართულ და ლატვიურ ენებზე: „სალამი ლატვიელ მეგობრებს", „გაუმარჯოს ქართველი და ლატვიელი ახალგაზრდობის მეგობრობას!" და სხვ.

შეხვედრაზე ბევრი კარგი სიტყვა ითქვა ხალხთა დიად მეგობრობაზე, მის ძალასა და უძლეველობაზე. ჭიათურელმა და სიგულდელმა ახალგაზრდებმა აჩვენეს თავიანთი მხატვრული შემოქმედების ნიმუშები. თეატრის კოლექტივმა სტუმრებს უჩვენა ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი".

ლატვიელი სტუმრები აქ ერთ კვირას დარჩებიან. ინახულებენ ჭიათურის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს, მეთორმეტე საუკუნის ისტორიულ ძეგლს — მღვიმევის მონასტერს, ა. წერეთლის სახლ-მუზეუმს სხვიტორში, კურორტ კვერეთს, კოლმეურნეობებს და სხვ.

ბოლოს გაემგზავრებიან თბილისში და გაეცნობიან მის ღირსშესანიშნაობებს.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: ლატვიელ მეგობრებთან შეხვედრა ჭიათურაში.
ფოტო ა. მაჭავარიანისა.

# ყოველი მხრიდან

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 27 მაისი. (საქდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯ. ფ. დალესის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად ვაშინგტონს ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგის ა. ა. სოლდატოვის თანხლებით. ვაშინგტონის აეროპორტში ა. ა. გრომიკოს შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი და ვაშინგტონში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები, აგრეთვე ამერიკელი და უცხოელი კორესპონდენტები.

აეროპორტში ა. ა. გრომიკომ პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განუცხადა: „მე ჩამოვედი ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფილი სახელმწიფო მდივნის დალესის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად. მე ვიცნობდი ბატონ დალესს ხანგრძლივი დროის განმავლობაში — თითქმის 15 წელი. მასთან ერთად მონაწილეობას ვიღებდი ბევრ საერთაშორისო კონფერენციაში და განვიხილავდი საერთაშორისო მნიშვნელობის ბევრ საკითხს. ჩვენ, რასაკვირველია, გვქონდა უთანხმოებანი ბევრ პრობლემაზე, მათ შორის დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე, მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ბ-ნი დალესი იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი".

## ვაშინგტონში ჩავიდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები

ვაშინგტონი, 27 მაისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის დალესის დაკრძალვაში მონაწილეობისათვის დღეს ჟენევიდან აქ ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლოიდი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი.

აეროპორტში მინისტრებმა გააკეთეს მოკლე განცხადებანი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა თქვა, რომ ჟენევაში ორი კვირის მოლაპარაკების შემდეგ „თითოეულ მხარეს ახლა უკეთ აქვს წარმოდგენილი მეორე მხარის პოზიცია". „მე, — განაცხადა შემდეგ ჰერტერმა, — ხვალ ვბრუნდები ჟენევაში ჩემს ფრანგ, ინგლისელ და საბჭოთა კოლეგებთან ერთად. იმედი მაქვს, რომ მომავალი მოლაპარაკების მსვლელობაში შეიძლება მიღწეულ იქნას არსებითი პროგრესი, რომელიც გაამართლებდა შეერთებული შტატების მონაწილეობას უმაღლეს დონეზე თათბირში".

## მებრძოლ ალჟირელ ხალხთან სოლიდარობის მოძრაობის გაფართოებისათვის

სოფია, 27 მაისი. (საქდესი). ქალაქ ვარნაში მუშაობა დაამთავრა ალჟირელ მშრომელებთან და ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო პროფკავშირული კომიტეტის სესიამ.

სესიის მონაწილეებმა — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის, ერაყის, ალჟირის, მაროკოს, იაპონიის, იტალიის, საფრანგეთის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების პროფკავშირების წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია ალჟირში შექმნილი მდგომარეობისა და იმ დახმარების შესახებ, რასაც სხვადასხვა ქვეყნის მშრომლები უწევენ მებრძოლ ალჟირელ ხალხს.

სესიაზე მიღებულია რეზოლუცია, რომელშიც ითვალისწინებს სოლიდარობის მოძრაობის გაფართოებისა და ალჟირელი ხალხისადმი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახმარების გაწევის ღონისძიებათა განხორციელებას.

გუშინ ქალაქ ვარნაში გაიმართა მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი იმასთან დაკავშირებით, რომ მუშაობა დაამთავრა ალჟირელ მშრომელებთან და ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო პროფკავშირული კომიტეტის სესიამ.

მიტინგზე გამოვიდნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანი იბრაჰიმ ზაკარია, მებრძოლი ალჟირელი ხალხის წარმომადგენელი ალჟირის პროფკავშირთა დელეგატი საფი ბუჯა, გერმანელ მშრომელთა წარმომადგენელი კურტ მაიერი და ჩილის პროფკავშირების დელეგატი ალვარო.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს დეპეშები პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისადმი, ალჟირელ მშრომელთა საყოველთაო კავშირისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოსადმი, რომლებითაც მოითხოვენ ალჟირის ომის შეწყვეტას, თავისუფლებისათვის მებრძოლი ალჟირელი ხალხისადმი დახმარების გაწევას.

## დალესის დაკრძალვა

ვაშინგტონი, 28 მაისი. (საქდესი). გუშინ აქ ეროვნულ სასაფლაოზე არლინგტონში დაკრძალეს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი დალესი. დაკრძალვის ცერემონიას დაესწრნენ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვა წევრები, მთელ რიგ უცხო სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები, მათ შორის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირები.

## ავღანეთის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ქაბული, 28 მაისი. (საქდესი). როგორც ქაბულის რადიო იუწყება, გუშინ გაიმართა ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მუჰამედ დაუდის საუბარი ბახტარის სააგენტოს წარმომადგენელთან.

შეეხო რა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირს, პრემიერ-მინისტრმა თქვა: ავღანეთის მთავრობას გულწრფელად სურს, რომ ეს თათბირი დამთავრდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით.

უპასუხა რა ბახტარის სააგენტოს წარმომადგენლის კითხვაზე ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის თაობაზე თათბირის შესახებ, მუჰამედ დაუდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი კაცობრიობა უდიდესი მოუთმენლობით მოელის ყველა დიდი სახელმწიფოს მთავრობათა შეთანხმებას ასეთი გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

გადავიდა რა ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის საკითხზე, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად დედამიწის ამ რაიონში გამწვავებული მდგომარეობისა, რაც მარჯან იყო, ახლა მდგომარეობა აქ უმჯობესდება.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა უპასუხა ბახტარის წარმომადგენლის კითხვაზე პაკისტანის პრეზიდენტის გენერალ მოჰამედ აიუბ-ხანის ამას წინათ კვეტაში გაკეთებული განცხადების შესახებ, რომლითაც მან პუშტუნისტანის პრობლემა დაახასიათა როგორც ხელოვნური და უნიადაგო პრობლემა. ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ამ ცნობას ავღანეთის ეროვნულ და ოფიციალურ წრეებში გაკვირვებით და მწუხარებით შეხვდნენ.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პაკისტანის წინანდელი ხელმძღვანელები თავიანთ ოფიციალურ განცხადებებში, რომლებიც გაკეთებულია ყარაჩისა და ქაბულში აღიარებდნენ, რომ ეს არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც ქმნის პოლიტიკურ უთანხმოებას ავღანეთსა და პაკისტანს შორის. პაკისტანის პრეზიდენტის უკანასკნელი განცხადება იმას ნიშნავს, რომ იგი დაშორდა და უარს ამბობს განცხადებებზე, რომლებიც პაკისტანის წინანდელმა მმართველებმა გააკეთეს.

პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა აზრი გამოთქვა, რომ პროპაგანდისტული განცხადებანი, როგორიც არის გენერალ მოჰამედ აიუბ-ხანის განცხადება, ხელს ვერ შეუწყობენ ისეთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაჭრას, როგორიც არის პუშტუნისტანის პრობლემა. პირიქით, ისინი მხოლოდ ხელს უწყობენ მათს გართულებას. ეჭვი არ არის, რომ ასეთი განცხადებანი უარყოფით გავლენას მოახდენენ ავღანეთისა და პაკისტანის ურთიერთობაზე ორივე ამ ქვეყნის ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ.

## უცხოეთის ქრონიკა

◆ ჩინეთიდან ვარშავას დაბრუნდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ეჟი მორავსკის მეთაურობით. დელეგაცია სტუმრად იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით.

◆ როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ქალაქ ალჟირის სამხედრო ტრიბუნალმა ორი წლის პატიმრობა მიუსაჯა ფრანგ ჯარისკაცს ალბან ლიეშტის. ამ ფრანგმა პატრიოტმა ერთ დროს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩამოაყალიბა მიზეზები უარისა მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში ალჟირელ აჯანყებულთა წინააღმდეგ.

◆ ორივე გერმანული სახელმწიფოს მოსახლეობის ფართო ფენების პროტესტის შედეგად საპყრობილიდან გაათავისუფლეს ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე, ბუნდესტაგის ყოფილი დეპუტატი გერმანიის კომუნისტური პარტიისაგან ვალტერ ფიში. ვ. ფიშს 1958 წლის ივნისში დასავლეთ გერმანიის სასამართლომ მიუსაჯა სამი წლის პატიმრობა მილიტარიზმისა და ახალი ომის მზადების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

◆ ამ დღეებში მექსიკაში მიწისძვრა მოხდა. მიღებული ცნობების თანახმად, ქალაქებში ნოჩისტლანსა და ტეპოსკოლულაში დაინგრა ან სერიოზულად დაზიანდა სახლების უმრავლესობა. სერიოზული ზარალი მოუვიდა ქალაქ ოახაკას.

27 მაისი (საქდესი).

# მაღალი ოსტატობისათვის

(დასასრული)

ლოებს, დაბლა არ სწევს ხარისხს. მაგრამ სხვა პოეტები? არა, იცით რა, უბრალოებისა და პრიმიტიულობის საკითხზე, ყალბი მასობრიობისა და ნამდვილი ხალხურობის საკითხზე—ამაზე დიდად საჭიროა იფიქრონ მწერლებმაც და მკითხველებმაც. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როცა „ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციამ გამაცნო მკითხველთა გამოხმაურება ჩემს მიწერ-მოწერაზე ერთ ახალგაზრდა მკითხველთან.

სასიხარულოა ვხედავდეთ, რა მაღალ მოთხოვნებს უყენებს ჩვენი მკითხველი ლიტერატურას: „გთხოვთ თქვენ, მწერლებს, თქვენს ნაწარმოებებში მოგვაწოდოთ ჩვენ, მკითხველებს, მეტი საზრდო (ძალიან გთხოვთ, დაუღეჭავი) გონებისათვის, იგულისხმეთ, რომ ჩვენ იგი (გონება) გვაქვს", — იწერება მკითხველი ი. სოკოლოვი ომსკის ოლქიდან.

აი „უბრალოების" პრობლემის გადაწყვეტა. მაგრამ არის წერილები, რომლებიც მოწმობს, რომ ზოგიერთ მკითხველს პოეზია არ ესმის, მოწმობს განუვითარებელ, „ფართომომხმარებლურ" მხატვრულ გემოვნებას. ამაში, ამხანაგებო, ჩვენ მწერლებს, მიგვიძღვის ბრალი. ყოველი ჩვენი ცუდი წიგნი აფუჭებს ამ გემოვნებას, დაბლა სწევს, ფართომომხმარებლობამდე აქვეითებს მას.

არ შემიძლია არ მოვიყვანო ციტატი სხვა მკითხველის წერილიდან. ამ წერილის ავტორი კრემენჩუგიდან იწერება:

„მე მაღელვებს კიდევ ერთი საკითხი. რატომ გახდა ლექსები ნაკლებად პოპულარული მკითხველთა შორის... მე მგონია, რომ საჭიროა ყველგან მოეწყოს პოეზიის მეგობართა საზოგადოებანი". როგორ გგონიათ, — ცუდი იდეა როდია, ცუდი საგანი როდია შვიდწლედში წარმოშობილ კულტურის სახალხო უნივერსიტეტთა მუშაობის გეგმისათვის!

ასე რომ ოსტატობის პრობლემა ხალხის ესთეტიკური აღზრდის პრობლემაა. ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ პრობლემის შესახებ უნდა ვლაპარაკობდეთ ჩვენს სხდომებზე, კრებებზე, სექციებში, პლენუმებზე.

არის სხვა საკითხებიც, რომლებსაც შეიძლება მიეძღვნას გამგეობის ჩვენი შემდეგი საკავშირო პლენუმი. მაგალითად, მოვაწყოთ შემოქმედებითი მსჯელობა პოემის ჟანრის თანამედროვე გამოცდილების შესახებ. პოემებს წერენ ყველგან — უკრაინაშიც, რუსეთშიც, შუა აზიაშიც, ამიერკავკასიაშიც. მოდით გავერკვეთ ამ პრობლემაში, ვნახოთ, რა სახისაა ეს პოემები, ვის რა მიღწევა და რა ნაკლი აქვს. ამას წინათ მე ის აზრი გამოვთქვი, რომ ეპიურმა პოემამ დრო მოჭამა, რომ ლირიკა — პოეზიის ძირითადი თანამედროვე ფორმა — პოემაშიც იჭრება და „გარდაქმნის" მას.

ამ მოსაზრებას, მე ვგონებ, პრაქტიკა ადასტურებს. ჩემმა მეგობარმა — ტაჯიკმა პოეტმა მირზო ტურსუნ-ზადემ ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტაში" გამცა პასუხი, თანამედროვე ტაჯიკური პოეზიის გამოცდილებაზე დაყრდნობით იგი იცავდა ეპიურ ხაზს პოემაში. პირდაპირ ვიტყვი, რომ მან ვერ დამარწმუნა. რა თქმა უნდა, აქ დაწვრილებითი დავის ადგილი არ არის. მაგრამ რატომ არ უნდა გამოვიტანოთ ეს საკითხი სხვადასხვა რესპუბლიკის პოეტების განსახილველად? იგი კონკრეტულ მასალას დაეყრდნობოდა და დიდ სარგებლობას მოიტანდა. ჩვენ დისკუსიას უნდა ვეწეოდეთ კონკრეტულად, რათა კონკრეტულად ვწყვეტდეთ რაღაც საკითხებს, ჭეშმარიტებას ვაღწევდეთ და არა ისე ვაჩვენებდეთ თავს, რომ დისკუსიას ვეწევით, როგორც ეს ზოგიერთი ჩვენი ბეჭდვითი ორგანოს „ყრილობისწინა ტრიბუნაში" გამოვიდა.

აი ამ, ეგრეთწოდებულ, „ორგანიზაციულ" საკითხებზე მინდოდა გამომეთქვა აზრი ყრილობაზე. მოდით ყურადღება მივაქციოთ მათ, მოდით შევქმნათ ჩვენს საკავშირო ორგანიზაციაში საქმიანი შემოქმედებითი მეგობრობის ატმოსფერო!

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყრილობის დელეგატები დაიშლებიან იმის მტკიცე რწმენით, რომ საჭიროა ახალი შეხვედრები, სადაც იქნება დავა, იქნება ძიება, იქნება საერთო ღონისძიებანი ჩვენი ლიტერატურის ახალ საფეხურზე აყვანისათვის.

დაე ჩვენი ყრილობა მობრუნების პუნქტი გახდეს ჩვენი ლიტერატურის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში!

# სპორტული ამბები

## გადამწყვეტი მატჩების წინ

სტამბოლი, 27 მაისი. (საქდესი). დამთავრდა წინასწარი თამაში ქვეჯგუფებში.

8 გუნდმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა, რომლებმაც ოთხივე შეხვედრა მოიგეს თავიანთ ქვეჯგუფში, მოიპოვა ნახევარფინალურ თამაშში მონაწილეობის უფლება.

შეიქმნა ორი ნახევარფინალური ჯგუფი. საბჭოთა კალათბურთელები შევიდნენ ჯგუფში პოლონეთის, უნგრეთისა და ბულგარეთის გუნდებთან ერთად. მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში ერთმანეთს შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, საფრანგეთისა და ბელგიის გუნდები.

წინასწარმა შეხვედრებმა ცხადყვეს, რომ საბჭოთა გუნდი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია.

სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. გომელსკიმ საქდესის კორესპონდენტთან საუბარში, დაახასიათა რა გასული წინასწარი თამაში და მომავალი ბრძოლა ჩემპიონის წოდებისათვის, თქვა: წილისყრით ჩვენ ყველაზე მრავალრიცხოვან და ძლიერ შესარჩევ ჯგუფში მოვხვდით. მაგრამ ჩვენმა კალათბურთელებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი ამოცანა. განვლილმა მატჩებმა დაგვანახვეს, რომ საბჭოთა გუნდი საბრძოლო სპორტულ ფორმაშია.

მომავალში, თქვა დასასრულ ა. გომელსკიმ, დაძაბული შეხვედრები მოგველის.

ჩვენი გუნდის საშიში მეტოქეები არიან ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელები, რომლებიც დაუმარცხებლად მიდიან, აგრეთვე უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის კალათბურთელები.

გაიმარჯვოს ევროპის ჩემპიონატში — ასეთი ფიქრით ცხოვრობს ახლა საბჭოთა გუნდის მთელი კოლექტივი.

* * *

სტამბოლი, 28 მაისი. (საქდესი). გუშინ აქ ევროპის ჩემპიონატზე კალათბურთში დაიწყო ნახევარფინალური თამაში. საბჭოთა გუნდი შეხვდა პოლონეთის კალათბურთელებს და შეხვედრა მოიგო ანგარიშით 78:59. ქულების ყველაზე მეტი რაოდენობა გუნდს მოუტანეს კრუმინშმა 20 და კორნეევმა 17.

ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა მოუგეს ბელგიელ სპორტსმენებს ანგარიშით 76:49.

## სსრ კავშირის პირველობაზე

ლენინგრადი. 28 მაისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა ჩვენი ქვეყნის XXI ჩემპიონატის მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები. შეხვედრა დამთავრდა „ლოკომოტივის" გამარჯვებით, ანგარიშით 4 : 1.

მოსკოვი. 28 მაისი. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და კიშინიოვის „მოლდოვას" ფეხბურთელთა კოლექტივები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით, ანგარიშით 4 : 0.

* * *

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ოლიმპიური თამაშების წინ მზადებასთან დაკავშირებით მწვრთნელთა საბჭოს წინადადებით პირველი წრის შეხვედრათა კალენდარში შეტანილია ცვლილებები. დონის როსტოვის სკვოსა და მოსკოვის „ტორპედოს", აგრეთვე კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და ლენინგრადის „ზენიტის" მატჩები გაიმართება 8 ივნისს, მოსკოვის „ტორპედოსა" და სტალინოს „შახტიორის" შეხვედრა — 14 ივნისს, ხოლო კიშინიოვის „მოლდოვასა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდების შეჯიბრება — 4 ივლისს.

## რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი

დაიწყო საქართველოს საჭადრაკო პირველობის ფინალური ასპარეზობის მეორე ნახევარი. მეათე ტურში ა. ბუსლაევმა დაამარცხა დ. ჯანოევი, ა. ბრეიტმანმა — თ. ლომაია, ს. მეგრელიშვილმა — ა. წერეთელი, გ. ჭანტურიამ — მ. დემურია. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ათი ტურის შემდეგ ოსტატ ბ. გურგენიძეს 8 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ა. ბუსლაევს — 8 ქულა.

## პირველობისა და ზონალური სპარტაკიადების მატჩები

გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე. მორიგი მატჩების შედეგები ასეთია: 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდი (თბილისი) — „დინამო" (ბათუმი) 1 : 1, „განთიადი" (ფოთი) — „დინამო" (ქუთაისი) 4 : 0, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „იმერეთი" (ქუთაისი) 3 : 0.

* * *

ტყიბულში, ცხაკაიასა და ჩოხატაურში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ზონალური სპარტაკიადები. მოეწყო ფინალური შეხვედრები ფეხბურთში. ტყიბულის ზონაში გამარჯვებული გამოვიდა ტყიბულის ნაკრები გუნდი, რომელმაც ანგარიშით 3 : 0 დაამარცხა წყალტუბოს გუნდი. ცხაკაიას ზონის დასკვნით მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ზუგდიდისა და გეგეჭკორის ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ზუგდიდელებმა 1 : 0. საინტერესო გამოდგა ფინალური შეჯიბრება ჩოხატაურის ზონაში ლანჩხუთისა და მახარაძის გუნდებს შორის. განმეორებით მატჩში (პირველი დღის შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1 : 1). გაიმარჯვეს ლანჩხუთელებმა 2 : 1.

## უნგრეთის პროფკავშირული დელეგაცია თბილისში

26 მაისს ლენინგრადიდან თბილისს ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირული დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის კავშირგაბმულობის მუშაკების, ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

დელეგაცია თბილისში დარჩება რამდენიმე დღეს, გაეცნობა კავშირგაბმულობისა და ავტოტრანსპორტის საწარმოებს, შეხვდება წარმოების მოწინავეებს, დაათვალიერებს ქალაქ თბილისის ღირსშესანიშნაობას. (საქდესი).

## ლატარიის ბილეთების გაყიდვა

უკვე რამდენიმე დღეა თბილისში მთლიანად გაიყიდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის 1959 წლის მეორე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები.

ლატარიის ბილეთების გაყიდვა დამთავრებულია აგრეთვე ასპინძის, ახალქალაქის, ყაზბეგის, სამტრედიის რაიონებში, ქალაქ რუსთავში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

მთავრდება ლატარიის ბილეთების გაყიდვა ქალაქ ქუთაისში, სადაც 1959 წლის 30 ივნისს გაიმართება მეორე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი. მოგებათა ტირაჟში გათამაშდება 120.000 ნივთმოგება და 2.250.000 მანეთის ფულადი მოგება, მათ შორის ავტომანქანები „ვოლგა" და „მოსკვიჩი", საწოლი ოთახის გარნიტურები, მოტოციკლები, პიანინოები და სხვ.

დაიწყო მესამე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების გაყიდვა, რომლის მოგებათა ტირაჟი გაიმართება ქალაქ ბათუმში 1959 წლის 15 სექტემბერს.

## ნ. თ. დანელია — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის გამგემ ნ. თ. დანელიამ მოსკოვის ვ. რ. ვილიამსის სახელობის წყალთა მეურნეობის ინჟინერთა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „წყალმიმღები ნაგებობანი უხნალექიანი მდინარეებისათვის".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნ. თ. დანელიასათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

# რადიო

29 მაისი

### პირველი პროგრამით

11.15 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — შ. ვაშალომიძის კონცერტი, 12.45 — ლისტოვის სიმღერები, 17.20 — ველიუ მუხამედ მუხატოვის სიმფონიური პოემა „ჩემი სამშობლო", 17.40 — კონცერტი, 17.55 — თბილისის და მოსკოვის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს" სტადიონიდან, 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „კულტურის უნივერსიტეტში", 20.20 — გადაცემა მრეწველობის თემაზე — „შვიდწლედის მოწინავენი", 20.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.00 — საუბარი: „პარტიული ორგანიზაცია ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში" (მიკროფონთან — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტბიუროს მდივანი გ. ჟამიერაშვილი), 21.15 — მუსიკალურ-საგანმანათლებლო გადაცემა — „იოსებ ჰაიდნი", 22.15 — ლიტერატურული გადაცემა. თავები მ. წერეთლის დოკუმენტური მოთხრობიდან „ნესტორ კალანდარიშვილი" (გადაცემა მეორე), 22.35 — ქართული ლირიკული სიმღერები ლილი გეგელიას შესრულებით.

### მეორე პროგრამით

21.00 — ელენე ეპიტაშვილის და ელეონორა სტეპანიანის კონცერტი, 21.40 — ნარკვევი — „ისინი სულ გზაში არიან", 21.55 — საბჭოთა მუსიკის კონცერტი. პროგრამაშია კიანოვის კანტატა „ახალ მიწებზე", ბალსის სავიოლინო კონცერტი.

# ტელევიზია

29 მაისი

17.45 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს" სტადიონიდან. ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები, 19.45 — კინონარკვევი, 20.30 — სატელევიზიო ჟურნალი „ჩვენი ახალგაზრდობა" № 5, 20.50 — „უკანასკნელი ცნობები", 21.05 — ახალი მხატვრული ფილმი „ადამიანის ბედი".

# თბილისის თეატრებსა და კინოებში

29 მაისი

ოპერისა და ბალეტის — დარეჯან ცბიერი (მე-4 აბონემენტის მე-10 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის — ამბავი სიყვარულისა, მარჯანიშვილის სახელობის — 100 ათასი, გრიბოედოვის სახელობის — საქმოსანი, სანკულტურის — ერთი შეცდომის შედეგი, თოჯინების ქართული — კონკია (12 ს.), მამლის თავგადასავალი (3 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — ლ. გეოხლანიანის კონცერტი (ტენორი).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), საქართველო (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ვაკის პარკი, კიროვის სახელობის პარკი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), კომუნარების ბაღი — შენს ხელშია სიცოცხლე, ამირანი (საზაფხულო), თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ყაზბეგი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — მამისეული სახლი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კომკავშირელი, კოლმეურნე, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი, ოქტომბრის რაიონის ახალი (საზაფხულო) — მაია წყნეთელი, ისანი (საზაფხულო), კოლხიდა (საზამთრო) — მოგზაურობა ნეპალში, მტრობა, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — პოლესიური ლეგენდა, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), დიდუბე (საზამთრო) — დედინაცვალი, თანამგზავრი — ადამიანის ბედი, დიდუბე (საზაფხულო) — იდიოტი, ოფიცერთა სახლი — ფრანგული კინოფილმების ფესტივალი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46 პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის—3-16-90, სოფლის მეურნეობის—3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 02363 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.